რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 17 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 62 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 62

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი: ძმა გეურქა იოსების ძე და მეუღლე მისი მელანია ანტონის ასული ისაევი შვილებითურთ და სიძით, დები: მარიამი იოსების ასული ასლამაზიშვილისა შვილებითურთ და სიძეებით, და ეკატერინე იოსების ასული შადინოვისა, ბიძაშვილი ნიკოლოზი ოგანეზოვი მეუღლით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ოთხშაბათს 14 მარტს დილის 10 საათზე ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ უდროვოთ გარდაიცვალა

## არშაკ (გედუა) იოსების ძე ისაევი

რომლის პანაშვიდი დანიშნულია შაბათს 17 მარტს, საღ. 6 ს. (მეექვსე კომისარიატი, ალავერდოვის ქუჩა № 13). გამოთხოვების დღეთ დანიშნულია კვირა 18 მარტი. მიცვალებულს გამოასვენებენ დილის ათ საათზე. წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება გრიქურ ლუსავორჩის ეკლესიაში (კახეთის ქუჩაზე), რის შემდეგ დაკრძალვა მოხდება შავ სოფლის სასაფლაოზე. (2—1)

თავზარ დაცემული მამა დიმიტრი, დედა ნადია, ძმა ანდრო, და დაი მარუსა ქელიძეები, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, სადახლოს სადგურის უფროსის

## აკაკი დიმიტრის ძე ქელიძის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას. მიცვალებული გამოასვენეს რკინის გზის საავათმყოფოდან 15 მარტს, საღამოს 5 საათზე და წაასვენეს თავის სამშობლო გურიაში. დაკრძალვა მოხდება კვირას 18 მარტს, ბახვის ეკლესიის გალავანში. (1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე სტეფანე ფურცხვანიძე, დედა თებროლ ბუბაშვილისა, შვილები ალექსანდრე და ანიჩკა, რძალი მარო ფურცხვანიძისა; სიძე სარდიონ თევზაძე, ძმა კოსტა, დები: ვოლინკა, მატრონა, ეფროსინე, მარო და ანიჩკა, სიძეები: ივანე, ბაგრატი, ონისიმე, თედორე, იაკიმე, ალექსი; შვილიშვილები: ქორა და შოთა; დის შვილები ვერიჩკა, ნადია, ვასასი და ვერა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძეირფასი

## მაგდანე პეტრეს ასულის ბუბაშვილის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ქ. დერბენდში. (2—2)

მეოთხე რაიონის წითელი გვარდიელები აუწყებენ ამხანაგებს ძვირფასი ამხ. წითელი გვარდიელის

## ვანო ეგნატეს ძე ჭილაძის

ტრეღიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხთა 13 მარტს, დასაფლავება მოხდება 17 მარტს წმინდა ნინოს სასაფლაოზე, გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან. (ოლღის მოედანი) (1—1)

## არტისტიული საზოგადოების საკონცერტო დარბაზი

კვირას 18 მარტს ამიერ-კავკასიის სეიმის წევრი

## ა. გ. ზურაბოვი

წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

## „ომი და ოსმალეთი"

ბილეთები—3 მან. 50 კაპ.-დე იყიდება გაზეთ „ბორბის" კანტორაში (სასახლის მოედანი, თამამშევის ქარვასლა, შტაბის პირდაპირ) დილის 9—2 საათ. და საღ. 5—8 საათ. ლექციის დღეს კი არტისტულ საზოგადოების შენობაში. (2—1)

## ქართული ოპერეტა
## სახაზინო თეატრი

კვირას 18 მარტს დილის წარმოდგენა. ბენეფისი ცნობილი მომღერლის მ. ჯანოევისა.

წარმოდგენილი იქნება ცნობილი აზიური ოპერეტკა

## არშინ მალ-ალან

4 მოქ. გაჯიბეგოვისა, თარგ. გიგოშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ბ. რევაზოვი ქ. გიგოშვილისა, ქ. მარგველაშვილი, ქ. არჯევანიძე, მ. ჯანოევი, პ. ფეირქაროვი ბ. ჩაგუნავა, ბ. მირველოვი.

დასაწყისი დილის 12 ს. გამგე სოფიკა. (1—1)

## განცხადება

სდგება ახალი საგანგებო ქართული ბატალიონი, რომელიც იქნება მთავრობისა და სეიმის სრულს განკარგულებაში.

ბატალიონის მიზანია: დაცვა რევოლიუციონური მთავრობისა და შენარჩუნება რევოლიუციისაგან მონაპოვარ უფლებათა.

ხსენებულ ბატალიონში ჩაწერის მსურველთ ყოველგვარი ცნობის მიღება ჩარიცხვის შესახებ შეუძლია პრაპ. ესაკიასთან გუდოვიჩის ქუჩა ლაზ. № 50. 3—2

დღეს, შაბათს 17 მარტს საღამოს 5 საათზე ტრამვაის პარკში მოწვეულია, ვაგზლის რაიონის წითელ გვარდიელების

## საერთო კრება

დღის წესრიგი: 1. დელეგატების არჩევა წით. გვარდიელთა ყრილობაზე. 2. წით. გვარდიის წესდება. 3. კომისიის მოხსენება. 4. მიმდინარე კითხვები. ვთხოვთ ყველას (ტრამვაის, ფოსტის, სეილანოვის ქარხ., რკინის გზის სტამბის და სხვას) წითელ გვარდიელებს აუცილებლათ გამოცხადდენ დანიშნულ დროზე.

1—1 ვაგზლის რაიონის წით. გვარდიელთა შტაბი.

შაბათს, 17 მარტს, საღამოს 7 საათზე რ. ს. დ. მ. პ. ვერის რაიონის კლუბი (უდელის ქ., № 3) მართავს

## ლიტერატურულ საღამოს და ლექციას

(ქალთა საკითხი და მიმდინარე მომენტ).

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. გოცირიძე, თ. გოგოლაშვილი, ირეთელი, ვ. რუხაძე, ქუჩიშვილი და ობოლი მუშა. უმორჩილესად სთხოვენ ყველა მონაწილეებს აუცილებლათ მოვიდენ. 1—1

## ორი რეფორმა

ამ ჟამათ ორი მთავარი რეფორმაა გასატარებელი სოფლათ. ერთია მიწის საკითხი, მეორე ერობის შემოღება.

ძნელი სათქმელია, რომელი მათგანი უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნის სასარგებლოთ. მართალია სოფლის მუშებს პირველ ყოვლისა მიწა აინტერესებთ. ეს მათი საარსებო სახსარია. ამით შეუძლიათ ცოლშვილის გამოკვება. მაგრამ მიწას ერთი გადაუვალი თვისება აქვს. მისი არც მომატება შეიძლება, არც დაკლება. მისი რაოდენობა უცვლელია. მცხოვრებთა რიცხვი კი გამუდმებით მატულობს. ამიტომ ჩვენში დღეს უკვე მიწის აბსოლიუტური სივიწროვეა.

სტატისტიკურ ცნობების მიხედვით, მთელი ის მიწა, რაც ჩვენი ქვეყნის საზღვრებში შეიძლება დასამუშავებლათ გამოდგეს, სოფლის მუშებს რომ კიდეც დაურიგდეს, მაინც საკმარისი არ იქნება. მიწის მემამულეთაგან ჩამორთმევა და სოფლის მუშებისთვის გადაცემა სავსებით კიდევ ვერ დააპურებს სოფელს. ამით მათ მხოლოდ თავადის, მსხვილ მემამულის რჩენა აშორდებათ, მისთვის ღალის მიცემა აღარ დასჭირდებათ.

ფაქტიურათ კი ჩვენში ყველა მიწებს, მაისც მარტო გლეხები ამუშავებდენ დღემდე და დღეიდანაც იგინი დაამუშავებენ.

მიწის რეფორმა ამ მხრივ დიდ ცვლილებას არ შეიტანს მიწის დამუშავების წესში. იგი მხოლოდ გააერთგულებს გლეხს, მუყაითობას და ნაყოფიერებას შემატებს მის შრომას.

მაგრამ, ცხადია, მარტო ბეჯითობა არ კმარა, რომ მიწამ საკმაო ნაყოფი გამოიღოს.

პირველი და მთავარი საკითხი ამიტომ დღესაც რჩება მიწის საუკეთესოთ სარგებლობის მოწყობა. მიწა ჩვენში უკეთესია, ვინემ გერმანიაში, მოსავალი კი დღიურზე, ან ქცევაზე, ჩვენში სამჯერ-ოთხჯერ ნაკლები მოდის, ვინემ გერმანიაში.

რათ ხდება ეს?

ამის მთავარი მიზეზია იქ კულტურული საშვალებებით მიწის მოვლა-პატრონობა. ათასი მცოდნე და გამოცდილი პირები ახვევია მიწას და თვითეულ ნაჭერზე იმას თესვენ, და ისე თესვენ, რომ რაც შეიძლება მეტი ნაყოფი გამოადებინონ. თან მიწას საჭირო სასუქს აძლევენ და ასე ანოყიერებენ. ჩვენი გლეხი ყველა ამას მოკლებულია.

მაგრამ ამ ჩამორჩენილობაში დარჩენა შემდეგშიაც—ეს იქნებოდა მიწის სივიწროვის დატოვება და სოფლის მუშის ისევ აუტანელ მდგომარეობაში ჩაგდება.

ამ საქმეს კი თავი ადვილათ მოევლება. და ასეთია ის დაწესებულებათაგანი, რომელსაც ევალება სოფლის მეურნეობის აყვავებას ხელი შეუწყოს—ესაა ერობა, ე. ი. ხალხის მიერ არჩეული თვითმართველობა.

ამიტომ იგი უნდა დაემატოს მიწის რეფორმას. მან უნდა ჩაუდგას სული ამ საქმეს. გარდა დასამუშავებელ მიწების გაუმჯობესებისა, ერობას შეუძლია მიიღოს ზომები ურწყავი ადგილების მოსარწყავათ, ჭაობების გასაშრობათ და სხვ. ამით სახნავ-სათესი მიწების რაოდენობა გაიზრდება.

მაგრამ სოფლის მუშაობისთვის საჭიროა აგრეთვე მშვიდობიანობა. გლეხთა სიმბოლოა ხავი, გლეხს არ უყვარს შფოთი და არეულობა. მისი შრომა თხოულობს დამშვიდებულ ცხოვრებას. ანარქია მომაკვდინებელია სოფლის მეურნეობისთვის. წესიერების შემოღება კი შეუძლია მხოლოდ ერობას. იგი თვით ხალხის არჩეული, მისი ნდობით აღჭურვილი დაწესებულებაა და ამიტომ ხალხი მას დაემორჩილება. ერობას კი გარდა ეკონომიურ წარმატებაზე ზრუნვის—ევალება სოფლათ წესიერებაზე ზრუნვაც. ამ მხრივ იგი შესცვლის დღევანდელ კომიტეტებს კომისრებს და სხვ., რომელნიც მოკლებულნი არიან საჭირო ძალას და გავლენას სოფლის მმართველობის სათანადო სიმაღლეზე ასაყვანათ.

წესიერება კი საჭიროა არა მარტო გლეხის შრომის ბარაქიანობისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ თვით მიწით სარგებლობა გლეხებისაგან სამართლიანობაზე იქნეს აგებული.

ამ სფეროში ერობას ბევრათ მეტის გაკეთება შეუძლია, ვინემ სამიწათმოქმედო კომიტეტებს. ერობა მიწას-მისცემს უღარიბეს გლეხებს, ერობა შესძლებს მას სესხიც უშოვნოს სახნავ-სათესი იარაღის შესაძენათ, ან თვით ეს იარაღები იაფ-ფასათ მოუპოვოს და მააწოდოს, ერობა ეცდება თვით აიღოს ხელში ზოგიერთი სამაგალითო მინდვრების, ბაღების და სხვების მოწყობა, რომ ამით თვალსაჩინო გაკვეთილი მისცეს გლეხებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიწის დამუშავება. ბოლოს ერობა გაუხსნის ბაზარს სოფლის ნაწარმოებს და ხელს შეუწყობს მის ადრე და სარფიანათ გასაღებას.

ამ რიგათ მიწის რეფორმას ნამდვილი ნაყოფი და სასურველი შეღავათი მხოლოდ მაშინ მოჰყვება გლეხებისთვის, თუ ეს ორი რეფორმა—მიწის და თვითმართველობის—თანაბრათ იქნა გატარებული ჩვენს ცხოვრებაში.

ამ ჟამათ ამ ორივე რეფორმას ენერგიულათ შეუდგა ამიერ-კავკასიის მთავრობა. და იმედია ჩვენი გლეხობა სრული შეგნებით შეხვდება მათ და ამით ხელს შეუწყობს ამ ფრიად სასარგებლო საქმის საჩქაროთ განხორციელებას. მართალია, ომის კარზე მოდგომამ—მობილიზაციამ—გამოაცალა სოფელს ახალგაზრდობა, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გარეშე მტერთან ბრძოლა ვერ შეუშლის ხელს შინაურ უსაჭიროეს რეფორმების განხორციელებას. პირიქით, ძეობარნი უფრო მხნეთ დაიცავენ სამშობლოს საზღვრებს, როცა დარწმუნდებიან, რომ ამ სამშობლოში ცხოვრება მათდა სასარგებლოთ და სასურველათ ეწყობა. გლეხი და მუშა უფრო მეტის ენერგიით დაიცავს ამ მოპოვებულ უფლებებს, და მეორე მხრით—რეფორმების გატარება გააძლიერებს და გაამხნევებს რა შინაურ ცხოვრებას, გაუადვილებს მეომართ თავის მძიმე მოვალეობის შესრულებას.

ამ რიგათ რეფორმები შინ და ბრძოლა გარეშე მტრებთან—აი ასეთია დღევანდელი მომენტის მოთხოვნილება.

## გაკვრით

(„კავკაზსკაია პრავდა").

დიდი ხნის იძულებული სიჩუმის შემდეგ ბალშევიკები ისევ ალაპარაკდენ, გაზეთი „კავკაზსკაია პრავდა" გამოსცეს. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ისინი ანგარიშს გაუწევდენ სინამდვილეს. სოციალიზმი რომ კარგია, ამაში ვის შეუძლია ეჭვი შეიტანოს. მაგრამ საქმე ის არის დღევანდელ პირობებში შეიძლება თუ არა მისი დამყარება. საუცხოვო განმარტებას იძლევა ამ საკითხის შესახებ კ. კაუცკი. კაუცკის წერილი თითონ ბალშევიკურ „პრავდა"-შია მოყვანილი და ჩვენი მკითხველებისთვის მეტი არ იქნება მისი გაცნობა. კაუცკი იკვლევს საფრანგეთის კომუნის და სახალხო მილიციის დამარცხების მიზეზებს. და ამბობს: „1871 წელს პარიჟის პროლეტარიატს არ ქონდა საკმაო გამოცდილება, რადგან ის უმთავრესათ ჩაბმული იყო წვრილ წარმოებაში, რომლის პერსონალი, საზოგადოთ ძნელათ ერთდება დიდ კავშირებში, ამიტომ პროლეტარიატისთვის უცნობი იყო ეკონომიურ ხასიათის ორგანიზაციები: დიდმა რევოლიუციამ წაართვა მას კოალიციის უფლება. ხოლო იმპერიის რეჟიმმა მას ყოველგვარი საშუალება მოუსპო პოლიტიკურ კავშირებში შესაერთებლათ. ამიტომ 1871 წელს პროლეტარიატი სრულიათ გამოუცდელი შეხვდა. კომუნის დღეებში კი შეუძლებელი იყო ამ ნაკლის შევსება, რადგან პროლეტარიატი იძულებული იყო დაუყოვნებლივ სამხედრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაეწყო". ასეთი იყო პარიზის პროლეტარიატი 1871 წელს და ის დამარცხდა.

რათ, რა საბუთის ძალით ფიქრობენ ბალშევიკები, რომ ამიერ-კავკასიის პროლეტარიატს მეტი გამოცდილება აქვს? აქაც ხომ თვითმპყრობელობის რეჟიმი კვეხუთავდა სულს, აქ ხომ სხვილი წარმოების და ეკონომიურ ორგანიზაციების ასენებაც არ არის, დაუმატეთ ამას გარეშე საფრთხე და ამიერ-კავკასიის მრავალ ერიანობა: ნუ თუ ყველა ჭკუიან ადამიანისთვის ცხადი არ არის, რომ ოსმალეთის მოსვლას სიხარულით მოელის ბევრი ჩვენი მეზობელი? ოსმალეთში რომ დემოკრატიული წყობილება იყოს, სულ სხვაა, მაგრამ ბალშევიკები თითონ სწერენ: ფაშები რევოლუციის დამხობას შეეცდებიანო. მაშ რას ნიშნავს ბალშევიკების მტკიცება ბათუმის, ყარსის და არდაგანისთვის ბრძოლა იმპერიალისტობააო.

ამ საერთო გაჭირვების დროს, როცა ამიერ კავკასიის მთავრობა ქვეყნის დაცვაზე ზრუნავს, ბალშევიკები „კავკასკაია პრავდა"-ში ამ მთავრობის ლანძღვა-გინებას უნდებიან. არ არის ჭორი, რომელსაც ისინი არ იგონებდენ ამ მთავრობის წინააღმდეგ. ბალშევიკების დასახასიათებლათ მოვიყვანთ „პრავდას" მოწინავედან ერთ ადგილას:

„აი მაგალითად ქალაქის საბჭოს უნიკო თავმჯდომარის სახე, ამ მენშევიკურ პარტიის უფასო გრამოფონის, როგორც ენამახვილათ მონათლა ის ვიღაცამ, რამდენი ენერგია, მოქნილობა, ჯაშუშური გამჭრიახობა გამოიჩინა მან, როცა ის ამხ. პეტრენკოს სდევდა ქუჩა-ქუჩა".

ვინ არის ეს პეტრენკო? ბალშევიკი, რომელიც ეშელონებს იწვევდა თფილისის ასაღებათ.

ჩვენ არას ვიტყოდით იმ ულმობელობის შესახებ, რომელსაც ბალშევიკები იჩენენ ამიერ-კავკასიის მთავრობისა და მენშევიკებისადმი,—მაგრამ... ვისი და რისი სახელით?

როცა ისინი ამავე დროს ასეთს გულკეთილობას იჩენენ ოსმალეთისადმი და ბათუმ-ყარს-არდაგანისთვის ბრძოლას ამ ადგილების ოსმალეთისთვის წართმევათ სთვლიან, ესე იგი ჩვენი სხეულის ნაწილს ოსმალეთის კუთვნილებათ აცხადებენ. ..

რა არის ეს? ღალატი, გამყიდაობა თუ სხვა რამე?

## პრესა

მოკლული ხალხი ზის „სახალხო საქმეს" რედაქციაში. როცა გარეშე მტრის სიახლოვის გამო ყოფნა-არყოფნის საკითხია დასმული, ფედერალისტები გადამიჯვნის დაწყებას ითხოვენ. „სახალხო" არჩევს გეგეჭკორის კაბინეტის დეკლარაციას და სასოწარკვეთილებაში ვარდება:

„ამიერ-კავკასიაში ეროვნული საკითხი მთავარი, კარდინალური საკითხია, კაბინეტის დეკლარაციაში კი ეროვნული პრობლემა სადღაც კუნჭულშია მიგდებული, უკანასკნელი ადგილი უჭირავს და დებულებანიც ისეა ნათქვამი, რომ ეშმაკიც ფეხს წაიტეხს".

ვერ შეიგნეს ჩვენმა ფედერალისტებმა, თუმცა ისინი სოციალისტებათ თვლიან თავს, რომ მთავარი საკითხია სოციალური საკითხი უმთავრესათ მიწის საკითხი, და საზღვრების დაცვა, და რომ ეროვნულ საკითხის სასურველათ გადაჭრა სწორეთ ზემოთ ნაჩვენებ საკითხებზეა დამოკიდებული.

მაგრამ ეს კიდევ არ არის გასაკვირელი, რადგან კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოდინდებისო, ნათქვამია, და ფედერალისტების ნაციონალისტურ კოკაში არასოდეს არ ქონია ადგილი სოციალურ კითხვებს. სასაცილოა ის, რომ ფედერალისტები სერიოზულათ ითხოვენ ჩვენგან „თამასუქის განაღდებას", თითქოს ჩვენ ხელთ იყოს დღესვე ეროვნულ კითხვის გადაჭრა ჩ ჩვენ კი ვძუნწობდეთ. ჩვენც იძულებული ვართ ვანუგეშოთ: დაიცათ ბავშვებო, თუ ღვთისა და თქვენი წყალობით გარეშე მტერი მოვიგერიეთ და შინაური ცხოვრებაც მოვაწყვეთ, ეროვნულ გადამიჯვნასაც შევუდგებით. მანამდის კი მოთმინება იქონიეთ!

* *
*

ჩვენ არ გვიკვირს, რომ ფედერალისტები ბალშევიკებს შეუერთდენ ქუთაისში, რადგან ჩვენი დამარცხების სურვილი იმდენათ ძლიერია ფედერალისტებში, რომ ბებელის არ იყოს, ეშმაკის ბებიასაც კი უმეგობრდებიან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბებელი „უმეგობრდებოდა ეშმაკს" ხალხისთვის, ხოლო ფედერალისტები უმეგობრდებიან ბალშევიკებს ხალხის წინააღმდეგ. რას ნიშნავს „სახალხო საქმეს" 16 მარტის ნომერში მოყვანილი სიტყვები: „მხოლოდ საბრალო მენშევიკები, მხოლოდ ეს ოპორტიუნისტები და კოალიციონისტები იქნებიან სარევოლიუციო ორგანიზაციებად". ასეთი სიტყვებით გვიმასპინძლდებიან ჩვენ ბალშევიკები და ამასვე იმეორებენ ფედერალისტები 16 მარტის ნომერში. ხოლო 15 მარტის ნომერში ბ. ალ. მდივანი სულ წინააღმდეგს გვისაყვედურებდა: თქვენ სხვა პარტიის ხალხს ვერ „გუობთ", საკუთარის ძალღონით აპირებთ ქვეყნის მართვასო, ე. ი. კოალიციას უარყოფთო. ვეკითხებით ფედერალისტებს: როგორ მოხდა, რომ 15 მარტს კოალიციის უარისყოფას გვაბრალებდით, ხოლო მეორე დღეს კოალიციის მომხრეობა ცოდვათ ჩაკვითვალეთ?

მაგრამ რაღა ეს მოვთხოვოთ ფედერალისტებს, როცა არითმეტიკა, უბრალო ანგარიში არ იციან. „სახალხო" ლეჩხუმის ამბების გამო აგვტეხია: „საბჭოების ყველა შემადგენელი ნაწილი მენშევიკებს გამოეყო ლეჩხუმის საქმეში, გაირიყნენ მენშევიკები და გარიყული პარტია გარიყულია საბჭოშიაც და მაინც საბჭოს იმოწმებს"-ო.

რაშია საქმე?

ლეჩხუმის საქმეში ერთ მხარეზე დადგა საბჭო, როგორც მთელი, როგორც რევოლიუციონური ორგანიზაცია, ხოლო საბჭოს მცირე ნაწილმა—ფედერალისტებმა, სოციალისტ-რევოლიუციონერებმა და ბალშევიკებმა შექმნეს „ოპოზიცია". „სახალხოს" ალბათ გონია, რომ ნაწილი უფრო დიდია მთელზე, რომ ესფერ-ესერ-ბალშევიკების უმნიშვნელო ჯგუფს შეუძლია გააბათილოს მთელი საბჭო? რატომ, ბატონო ფედერალისტებო, სად გაგონილა ორგანიზაციის ასეთ პრინციპზე აგება?

* *
*

„საქართველო" სწორეთ ისე იქცევა, როგორც ქურდობაში დაჭერილი ბავშვი. თავის რჩევას—სტიქიონს მივანდოთ ყველაფერიო, ის ახლა ასე ასხვაფერებს:

„ჩვენ დღესაც განვიმეორებთ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობის შესახებ გამოთქმულ აზრს—მთავრობის უნიათობის გამო ჩვენში შეფერხებულია უსაჭიროესი რეფორმების განხორციელება და რაც ცვლილებები ხდება, ეს არა სახელმწიფოებრივი გზით, არამედ სტიქიურათ, ანარქიულადო".

ასე ბავშურათ მართლულობს თავს „საქართველო", მაგრამ მას ისევ მარცხი მოსდის. ის სწერს:

„სტიქია და ანარქია ასეთებათ დარჩება, რაც უნდა სახელმწიფოებრივი ეთიკეტი მიაკრას მას ჩვენმა მთავრობამ".

ასეთია „საქართველოს" სიბრძნე: სეიმის კანონი მიწების ჩამორთმევის შესახებ, თურმე ანარქიისთვის სახელმწიფოებრივი ეთიკეტის მიკრება ყოფილა.

## თავდაცვის ორგანიზაცია

უკვე შესდგა ამიერ-კავკასიის მთავრობა სეიმის წინაშე პასუხისმგებელი.

მეტად ძნელ და განსაკუთრებულ პირობებში უხდება მოქმედება ახალ მთავრობას. მას ერთობ დიდ მოვალეობას აკისრებს ამიერ კავკასიის დღევანდელი მდგომარეობა. მის ასეთ თუ ისეთ მოქმედებაზე ბევრათ არის დამოკიდებული, თუ რამდენათ შესძლებს ამიერ-კავკასია გაუმკლავდეს გარეშე საფრთხეს და შინ ანარქიასთან ბრძოლით განამტკიცოს რევოლიუციის საქმე. მთავრობის წინაშე ბევრი საყურადღებო საკითხი დგას, რომელთა სისწორით გადაჭრას მან უნდა მოახმაროს მთელი თავისი ძალ-ღონე. უმთავრესი საკითხი, ეს ზავის საკითხია. მთავრობის დეკლარაციაში, რომელიც ერთხმათ მიიღო სეიმმა, ეს საკითხი არის პირველ ადგილზე წამოყენებული.

დღევანდელ პირობებში მთავრობის მიერ გადადგმული ყოველივე ნაბიჯი, მის მიერ განზრახული რეფორმები ხელს უნდა უწყობდეს ამ საკითხის გადაჭრას რევოლიუციონურ დემოკრატიის სასარგებლოთ. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა სხვა კითხვები დღეს ასე თუ ისე დაკავშირებულია ზავის საკითხთან. ამ საკითხიდანვე პირდაპირ გამომდინარეობს აგრეთვე საკითხი თავდაცვის ორგანიზაციის შესახებ.

ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, როცა საქმე გვაქვს აგრესიულ იმპერიალიზმთან, სულ ერთია, გერმანიისაა იგი თუ ოსმალეთის, საპატიო ზავზე ლაპარაკი შეუძლებელია, თუ ჩვენს დემოკრატიულ, ყოვლათ სამართლიან მოთხოვნილებებს შესაფერი ფიზიკური ძალა არ უმაგრებს ზურგს. ჩვენ კარგად ვიცით იმპერიალისტების სულისკვეთება. ისინი მხოლოდ ძალას უწევენ ანგარიშს და

არა ლოზუნგების სამართლიანობას. და რომაელების თქმულება, თუ გინდა ზავი, ემზადე ომისთვისო,—სავსებით გაამართლა დღევანდელ ცხოვრებამ. ბალშევიკურ რუსეთის მაგალითმა დაგვიმტკიცა ამ თქმულების სისწორე და ვინც თავის მოქმედების დროს არ ხელმძღვანელობს ამ შეხედულებით, იგი შეგნებულათ, თუ შეუგნებლათ აფერხებს საპატიო ზავის ჩამოგდების საქმეს.

ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ უკუაგდო ბალშევიკურ რუსეთის გზა საზავო პოლიტიკაში. იგი მიისწრაფვის საპატიო ზავისაკენ, მაგრამ ამავე დროს და სწორეთ ამისთვის ამიერ-კავკასიის დემოკრატია ჰკრავს მტკიცე რაზმებს, რომ შექმნას რეალური ძალა, რომელიც მხოლოდ ერთი უზრუნველჰყოფს საპატიო ზავის ჩამოგდებას და ქვეყნისა და რევოლიუციის დაცვას გარეშე მტრისაგან.

ოსმალეთის იმპერიალისტების ცინიზმით და განზრახვებით აღშფოთებული ამიერ-კავკასიის დემოკრატია ამოძრავდა, ფეხზე დადგა და რაზმი რაზმს მისდევს ფრონტისაკენ რევოლიუციონურ ტერიტორიის დასაცავათ. საჭიროა ეს მოძრაობა ჩამოყალიბდეს, საჭიროა მას მიეცეს მთლიანი ხასიათი. სამხედრო საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციას, მოქმედების მთლიანობას, შეთანხმებულ გამოსვლებს. რაც უნდა კარგად იბრძოდეს ცალკე ჯარისკაცი, ცალკე სამხედრო ნაწილი, იგი სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს, თუ მისი მოქმედება არ გამომდინარეობს საერთო გეგმიდან, თუ იგი ჰარმონიულათ არ არის შეთანხმებული დანარჩენ ნაწილების მოქმედებასთან.

ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს თავდაცვის საქმის ორგანიზაციას. ამას მოითხოვს ჩვენი მდგომარეობა, ეს საჭირო და აუცილებელია საპატიო ზავის ჩამოსაგდებათ.

მერე ვინ უნდა იკისროს ეს საქმე? რა თქმა უნდა, ამიერ-კავკასიის მთავრობამ. მის განკარგულებაში უნდა იმყოფებოდეს ყველა შეიარაღებული ძალები და ფლოტი ამიერ-კავკასიისა. სამხედრო სამინისტროს განკარგულებას უნდა ემორჩილებოდეს ყველა ჯარები, სამხედრო ოპერაციებს უნდა ხელმძღვანელობდეს ერთი ორგანო.

ყველა ეროვნული სამხედრო ნაწილები უნდა ემორჩილებოდეს მთავრობას და ასრულებდეს მის ბრძანებებს. ეროვნულ საბჭოებმა აქ მხოლოდ დამხმარეს როლი უნდა იკისრონ. მათ ხელი უნდა შეუწყონ ადგილობრივ მთავრობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას, სამხედრო ნაწილების შედგენას, საერთოთ თავდაცვის საქმის მოწყობას. მაგრამ მათ უფლება არ უნდა ჰქონდეთ დააკისრონ სამხედრო ნაწილებს ესა თუ ის საქმე, თავის განკარგულებით გადაიყვანონ იგი ერთი ადგილიდან მეორეზე და სხ. მაშინ ადგილი არ ექნება ისეთ სამწუხარო მოვლენას, როგორიც მოხდა ერევანში...

როგორც ვიცით, გენ. ანდრონიკამ თანამდებობიდან გადადგომა აცნობა ინგლისის მისიას და არა ამიერ-კავკასიის მთავრობას. ასეთ სეპარატიულ გამოსვლებს კი მეტათ დიდი ვნების მოტანა შეუძლიათ თავდაცვის საქმისათვის. ამიტომ საჭიროა ყველა სამხედრო ნაწილებს, საერთოთ თავდაცვის საქმეს განაგებდეს მხოლოდ ერთი ორგანო—მთავრობა. ეს განსაკუთრებით საჭიროა ამიერ-კავკასიაში, სადაც მოსახლეობენ სხვადასხვა ერები.

მთავრობამ უნდა მიიღოს აგრეთვე სხვა ზომებიც. თავდაცვასთან შეკავშირებული. ასეთია, მაგ. სამხედრო ცენზურის დაუყონებლივ შემოღება, კონტრ-დაზვერვის მოწყობა, ჯარში დისციპლინის განმტკიცება და სხ.

დღევანდელი მთავრობის მოქმედებაზე ბევრათ არის დამოკიდებული, შესძლებს თუ არა ამიერ-კავკასია შეინარჩუნოს რევოლიუციით მონაპოვარი თავისუფლება უზომოზარ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შეჯახების დროს. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური დემოკრატია მთელი ძალღონით მხარს დაუჭერს თავის წარმომადგენელთაგან შემდგარ მთავრობას. მაშინ მთავრობაც შესძლებს პირნათლათ შეასრულოს თავისი მძიმე მოვალეობა. კერძოთ ქვეყნის თავდაცვის საქმის ორგანიზაციით შექმნის მტკიცე ძალას, რომელიც შესძლებს ოსმალეთის იმპერიალისტების ალაგმვას და რევოლიუციის წითელი დროშის დაცვას.

ვ. ნიკურაძე.

## ირ. წერეთლის სიტყვა

**წარმოთქმული სეიმის 13 მარტის სხდომაზე მენშევიკების ფრაქციის სახელით.**

(დასასრული).

ჩვენ ვიცით, რომ წინათ, როცა ჩვენ წვრილნი დამონავებული ვიყავით თვითმპყრობელობის უღელს ქვეშ, როცა რუსეთში მოსახლე თვითეულ ერის, თვითეულ მშრომელ კლასის თავისუფალ განვითარებას გადაულახავი დაბრკოლება ელობებოდა წინ აბსოლიუტიზმის მკვდარი კვანძის სახით, როცა დახშული იყო ყველა ნორმალური გზები ხალხთა განვითარებისა,—ექსცესების წარმოშობა იყო ამის აუცილებელი შედეგი. და როცა მთავრობა, რომელიც ებრძოდა ამ ექსცესებს, სპობდა სახალხო მოძრაობის გზებს, მაშინ ჩვენ ვამბობდით, რომ ასეთი ბრძოლა მთავრობისა არის დანაშაული, ვინაიდან სახელმწიფოს მთავრობის მოვალეობაა მისცეს თავისუფალი გამოსვლის ნება სოციალისტურ პარტიებს. ეს ბრძოლა ანარქიასთან იყო რეაქციის აღორძინების დროს. მაგრამ ჩვენ კარგათ გვესმის, რომ სახელმწიფოს დანიშნულებაა შექმნას ყველა სოციალურ და ნაციონალურ ჯგუფთათვის განვითარების პირობები. და დემოკრატიულ მთავრობამ უნდა მისცეს ძალზე ფართო სარბიელი, თვითონ უნდა იყოს წინააღმდეგი იმ გარდაქმნათა, ვის მიერაც არ უნდა იყოს დამორჩილების, რომელიც შეიქმნა ხალხის შეგნებაში და რომელიც შეეფერება მის სწორ შეხედულებებს და ინტერესებს, რომლისთვისაც იბრძვიან ამ ხალხის პარტიათა ბელადები. მაგრამ თუ, მიუხედავათ ამისა, ხალხის სრული ბატონობის დროს, ისეთ სისტემის გაბატონების დროს, როცა თვითეულ ორგანიზაციას, თვითეულ კლასს, თვითეულ ჯგუფს საშუალება მიეცემა დაიცვას საკუთარი ძალით თავისი ინტერესები, თუ ასეთ წყობილების დროსაც დაიწყება ექსცესები, რომლებიც არღვევენ ასეთ სახელმწიფოს გამაგრების საქმეს, კლასთა და ეროვნებათა შორის ურთიერთობას, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ, მის ცხოვრების წინააღმდეგ, მაშინ სახელმწიფომ უნდა მოიგონოს, რომ იგი არის ორგანო არა მარტო შემოქმედებითი, არამედ იძულებითიც და მთელი ძალღონით, რომელიც კია სახელმწიფოს მთავრობის ხელში, იმოქმედოს მცხოვრებთა ზოგიერთ ნაწილებზე. ამ გარემოების დავიწყება პსიხოლოგიურათ ადვილათ ასახსნელია იმ დემოკრატიისთვის, რომელიც ვითარდებოდა უკიდურეს აბსოლიუტიზმის პირობებში. ამ გარემოებამ მიცა კიდეც თავისი მწარე ნაყოფი რუსეთის დემოკრატიას საერთოთ და ჩვენსას კერძოთ რევოლიუციის პირველ დღეებშივე. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ამ დემოკრატიულ და სახელმწიფოებრივ თვალსაზრისზე დგომით ჩვენ შევსძლებთ შემდეგში დავიცვათ ჩვენი დემოკრატიული ქვეყნის არსებობა და გავამაგროთ არა მარტო სიტყვით ის მოპოებანი, რომელიც მოგვცა რევოლიუციამ. აი, აქ ხდებოდა კამათი მაშინ, როცა დიდი გარეშე საფრთხის წინაშე ჩვენ გვქონდა ყველა საშუალება ნორმალური გზით მიგვეღწია ერთობისათვის, რომელიც მეტათ საჭიროა მცხოვრებთათვის, გვქონდა საშუალება დაუყონებლივ გვე მოქმედნა ადგილობრივ პოლიტიკურ ძალა-უფლებაზე. მაგრამ ამ გზას ზურგი შეაქციეს, უარყვეს დემოკრატიულ დამოკიდებულების იდეა და ერთი რომელიმე ჯგუფი ცდილობს დაიმორჩილოს, დაამხოს მთავრობა, რომელიც მთელი დემოკრატიის მიერ არის არჩეული ქვეყნისა და დემოკრატიის დასაცავათ. ასეთ მომენტში განა შეიძლება იმის შესახებ ლაპარაკი, შეუძლია თუ არა მთავრობას მიიღოს რეპრესიული ზომები იმათ წინააღმდეგ, რომლებიც არ ემორჩილებიან იდეურ გავლენას. (ხმები: „მართალია“, ტაში).

და არა საერთო დეკლარაციაში, არამედ მთავრობის თვითოეულ კონკრეტიულ ნაბიჯის განხილვის დროს ჩვენ არამც თუ უნდა აღვნიშნოთ, რომ მხარს დავუჭერთ და მთელი ძალღონით გავამაგრებთ მთავრობას, არა მარტო ამ დემოკრატიულ პოლიტიკის დროს, რომელიც მიმართულია იძულებითი რეფორმების განხორციელებისაკენ, ჩვენ უნდა მოვუწოდოთ აგრეთვე წესრიგისაკენ, ვინაიდან ასეთ საერთო საქმეს მოყვება რეპრესიები. ამ მუქარას ჩვენ მხარს დავუჭერთ. ჩვენ ვღუთქვით ეს დახმარება და შევასრულებთ დანაპირებს მთელი ძალღონით.

ამ ჟამათ მთავარი საფრთხე, რომელიც ჩვენს წინაშე დგას და რომლის ხანგრძლივებაზე დამოკიდებულია ამიერ-კავკასიის დემოკრატიის შემდეგი ცხოვრება, არის საფრთხე გარეშე მტრის მიერ დამონავებისა. ყველას გვესმის, რომ ამ მსოფლიო შეტაკებისა და კონფლიქტის დროს, როცა ფინანსიური კაპიტალი, ყველაზე უფრო მკაცრი, ყველაზე უფრო ბატონყმური კაპიტალი დღესასწაულობს და უკვე დაასამარა რამდენიმე წვრილი ეროვნება, ამ საშინელ შეტაკების დროს ამ ჟამათ ჩვენს პატარა ქვეყანას შეუძლია შეინარჩუნოს საკუთარი სახე ერთი პირობით, თუ გარეშე ძალადობიდან ქვეყნის დაცვის საქმეს შეასრულებს ამიერ-კავკასიის ყველა მცხოვრებნი, მიუხედავათ ყოველგვარ სარწმუნოებრივ და მოდგმის განსხვავებისა, მიუხედავათ სულიერ განწყობილების სხვადასხვაობისა. აქ ყველა ერთნაირათ უნდა იყოს დაინტერესებული. ჩვენ ვიცით, არც მუსულმანებისთვის, მისი დიდი უმრავლესობისათვის, არც სომხებისთვის, არც ქართველ დემოკრატიისთვის არ არის სხვა გამოსავალი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ საფრთხე მოგველის. არც სომხურ, არც ქართველ და არც მუსულმანთა დემოკრატიას გარეშე მტრის მიერ დაპყრობა გარდა სრული განადგურებისა და რამდენიმე ათეულ წლებით დაუძლურებისა არაფერს მოუტანს. (ხმები: „მართალია“).

თუ ჩვენ აქ, მიუხედავათ ცალკე უთანხმოებისა, დღეს, მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, ერთნაირი შეხედულება გვაქვს გარეშე და შინაგან პოლიტიკის მთავარ საკითხებზე, თუ დღევანდელი მთავრობის შექმნა შეგნებულათ მოხდა, თუ შემთხვევით არ არის არჩეული მცხოვრებთა ის წარმომადგენლები, რომლებიც აქ სხედან, და თუ ჩვენ ყოველთვის ერთსულოვნათ ვმოქმედებდით,—ეს იმიტომ, რომ აქ თავი იჩინა მასსის ინსტიქტმა, მიუხედავათ ეროვნებისა, რომელიც უკარნახებს ამ მასსას მაგრათ ჩასჭიდოს ხელი რევოლიუციის მონაპოვარს, რომელიც უზრუნველ ჰყოფს მის სოციალურ მოთხოვნილებებს და ნაციონალურ ინტერესებს. ის დიდი რეფორმა, რომელიც ერთხმათ იქნა მიღებული აქ სეიმის ერთ სხდომაზე, მიწის რეფორმა, ერთნაირათ ეხება როგორც მუსულმან, ისე სომეხ და ქართველ მცხოვრებთა ინტერესებს, ეხება მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიის არსებით ინტერესებს. და ჩვენ კარგად გვესმის, რა ფორმაშიაც არ უნდა გამოიხატოს გარეშე მტრისაგან დამონავება, ამიერ კავკასიის დაპყრობის შედეგი იქნება მისი დემოკრატიის უძლურ არსებათ გადაქცევა, რომელიც ვერ შესძლებს წინააღმდეგობა გაუწიოს გარემოებას. ამ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა არაფრამდე მივა ამ ძირითად სოციალურ რეფორმის საკითხის გადაჭრა და შემდეგ ამიერ-კავკასიის ყველა სოციალურ და პოლიტიკურ მონაპოვართა. აქ სისწორით იქნა გაგებული მცხოვრებთა ინტერესები და ამ მცხოვრებლებმა სწორი ინსტიქტით აირჩიეს ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც მიუხედავათ იმისა, რომ პრაქტიკულათ ბევრში განსხვავდებიან, ამ ძირითად საკითხში შეთანხმებულნი არიან. როგორიც არ უნდა იყოს გარეშე და შინაური საფრთხე ყველა ერებმა, ყველა მცხოვრებმა, რომლებმაც აირჩიეს სეიმის ეს წარმომადგენლები და უთხრეს მათ დაიცვან რევოლიუციის მონაპოვარი, მთელი თავისი მომავალი, თავისი იმედები უნდა დაამყარონ თავისუფალ მშრომელთა კლასის თავისუფალ სახელმწიფოს შექმნაზე. და ჩვენ ვიცით, რომ ახლა ეს ნიადაგი გვაერთებს ჩვენ, მან მოგვცა ჩვენ საშუალება ერთსულოვნათ შეგვედგინა მთავრობა, შეგვექმნა მთლიანი დემოკრატიული პოლიტიკა და დავახმაროთ ამ მთავრობას და ამ პოლიტიკას ყველა შეკავშირებული და პასუხისმგებელი ძალები, რომლებიც არის ამიერ-კავკასიის დემოკრატიის განკარგულებაში, მე კარგად მესმის, რომ ამ საქმეს, ამიერ-კავკასიაში მოსახლე მთავარ ერთა წარმომადგენელთა ერთობის საქმეს ხელს უშლის შუღლი, უმთავრესად ნაციონალური ხასიათისა, რომელიც წარმოიშობა შეუგნებელ მასსაში ან ისეთ ჯგუფებში, რომლებიც ღალატობენ რევოლიუციასა და ქვეყანას. ვიცი აგრეთვე, რომ ეს შუღლი გამოძახილს ჰპოვებს უფრო პასუხისმგებელ, უფრო გავლენიან და პოლიტიკურათ უფრო შეგნებულ ჯგუფებში და იწვევს მათ შორის უნდობლობას, რომელიც ხანდისხან თავს დასტრიალებს ამ კრებასაც. მაგრამ ყველა ამ კრიტიკულ წუთებში ჩვენ გვესმის ერთი, რომ ყველა მთავარ ერებიდან, ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა უმრავლესობით მთავარ ერებიდან, თვითეული ამ ერებიდან შესძლებდა დანარჩენ ერების დაღუპვას, მაგრამ მხოლოდ თავის დაღუპვის ფასით (ხმები: „მართალია“, ტაში) და ვერც ერთი ამ ერებიდან ვერ გადაარჩენდა თავის თავს ისე, თუ მთელ თავის ძალას, მთელ თავის მონდომებას არ მოახმარდა აგრეთვე დანარჩენ ერთა გადარჩენას (ხმები: „მართალია“, ტაში) და აი, ახლა, მოქალაქენო, სეიმის წევრებო, როცა პოლიტიკური ცხოვრების ცა ღრუბლებით არის მოგრაგნილი, ჩვენ გვხვდება პირველი ნაბიჯების გადადგმა იმისთვის, რომ საკუთარ შიშისა და რისკის ქვეშ გამოვსჭედოთ ამიერ-კავკასიის დემოკრატიის მომავალი. პატარა ამიერ-კავკასია ამჟამად დგას იმ საბედისწერო საკითხის წინაშე, რომელიც აგერ ახლა იდგა მთელი რუსეთის რევოლიუციის წინაშე, და რომლის გადაჭრა პირველ ხანებში იქ, რუსეთის დემოკრატიამ ვერ შესძლო ისე, როგორც ამას მოითხოვდა დემოკრატიის ინტერესები. ამ შეცდომის და ამ ნაბიჯების შემდეგ იქ რუსეთში, საქმე მოეწყო ისე, რომ იქ ჩვენ დავრჩით ჩვენი ძალების ანაბარა და მომავლის თავის ბედი საკუთარ ხელში გვიპყრია. ჩვენ უნდა გადავსჭრათ ის საბედისწერო კითხვა და კიდევ უფრო საბედისწერო პატარა ამიერ-კავკასიისთვის, ვინემ დიდ დემოკრატიულ რუსეთისთვის,—ვინაიდან იქ მძიმე განსაცდელის დროს თუ გვიხდება ლაპარაკი რუსეთის დროებით დამარცხებაზე, ვინაიდან მეტათ დიდ ძალას წარმოადგენს რუსეთი პოლიტიკურის და ეკონომიურის მხრით, რომ იგი სამუდამოთ იქნას დამარცხებული თავის შეტაკებებში — ჩვენ კარ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ, პატარა ამიერ-კავკასია თავის პატარა ერებით და სუსტი ეკონომიური ორგანიზმით თუ განიცდის ასეთ დამარცხებას, ეს იქნება სასიკვდილო დამარცხება ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ ყველა ერთათვის. ასეთ მძიმე მომენტში გვიხდება ჩვენ თავის ბედის საკუთარ ხელში აღება და რევოლიუციის შინაგან და გარეშე საფრთხისაგან დაცვის საკითხის გადაჭრა.

მე მინდოდა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით თქვენთვის განეცხადებია, რომ რამდენათ ძლიერი იქნება ჩვენში ისტორიულ განვითარების თვითეულ ნაბიჯით დადასტურებულ ერთობის შეგნება, შეგნება იმის, რომ მხოლოდ საერთო ძალით ნაციონალურ შუღლის დაძლევით შეგვიძლია ჩვენ ადვილათ შევიგნოთ ჩვენი ნაციონალური ინტერესები, როგორც საერთო დემოკრატიული.

როცა ჩვენ შევიგნებთ, რომ მშრომელთა ინტერესების დაცვა თან ატარებს ყველა დიდ სოციალურ პრობლემებს, რომელიც დგას ამიერკავკასიის წინაშე, მაშინ ჩვენ შევსძლებთ ყველა ძალთა გამოყენებით მართლაც დავიცვათ, ქვეყანა, გამოვიყვანოთ იგი ჩიხიდან.

თავის მხრით, სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, რომელსაც აქვს თავისი გარკვეული სახე, რომლითაც იგი განსხვავდება აქ წარმოდგენილ სხვა ფრაქციებიდან აცხადებს, რომ იგი არასოდეს არც თვითონ დაჰკარგავს თავის სახეს და არც სხვა პარტიებს წაუყენებს მოთხოვნილებას უარი სთქვან თავის პოლიტიკურ და ნაციონალურ განსაკუთრებულ სახეზე. ჩვენ პირდაპირ ვამბობთ—ჩვენი მიზანია დღეს დემოკრატიის გაძლიერება თანახმათ ამიერ-კავკასიის დემოკრატიის საერთო შეგნებისა და საერთო სახალხო ინტერესებისა. ჩვენ ვუცქერით დემოკრატიულ წყობილებას, რომელსაც დღეს ვამაგრებთ, მუშათა კლასის ინტერესების თვალსაზრისით, როგორც ეტაპს სოციალისტურ გარდაქმნის გზაზე, მაგრამ დღევანდელი ჩვენი პოლიტიკის მიზანია—ყველა ძალები მუშათა კლასისა და მცხოვრებთა იმ ნაწილების, რომლებიც ჩვენთან ერთად მოდიან, მოვახმაროთ ამ ეტაპის გამაგრებას, რომელთანაც სხვა მოსაზრებით, სხვაგვარ საბოლოო მიზნით მოდიან მშრომელთა და ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ ერთა სხვა ნაწილებიც. ჩვენ კარგათ გვესმის, რომ სხვაგვარი საბოლოო მიზანი შეუძლია დაისახოს აქ წარმოდგენილ თვითეულ ჯგუფმა, შეუძლიათ გამოვიდნენ წმინდა ნაციონალურ ინტერესებიდან, მაგრამ ამ ჯგუფებთან თანამშრომლობის აუცილებელ პირობათ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ისევე პატიოსნათ, ისევე აშკარათ და ყველა ძალებით, როგორც ჩვენი ფრაქცია, თვითეულ ამ ჯგუფთაგანმა გაამაგროს ეს დემოკრატიული ეტაპი და რევოლიუციის მონაპოვარი და იმავე თავგანწირვით დაიცვან ჩვენი ქვეყანა გარეშე საფრთხისაგან (მქუხარე ტაში). ჩვენ ვაფასებთ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა ყველა ნაწილების და ყველა ეროვნებათა ინტერესებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვითეულ ეროვნებათა და მშრომელთა სხვადასხვა ნაწილებს შორის შეიძლება, რა თქმა უნდა, იყოს შეუგნებელი და ნაკლებათ შეგნებული, გახრწნილი ელემენტები, შეიძლება იყოს პირდაპირ ჩვენი რევოლიუციის მოღალატე ელემენტები, რომლებიც ვერ ბედავენ აშკარათ მის წინააღმდეგ გამოსვლას და აცლიან მას ნიადაგს ანარქიით, შეიძლება იყოს აგრეთვე გარეშე მტერთაგან მოგზავნილი მოღალატე ელემენტები—ყველაფერი ეს შეიძლება, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა ამ ეროვნებათა დიდი უმრავლესობის ინტერესების სისწორით გაგება და ინსტიქტი გვიკარნახებს იმ დემოკრატიულ პოლიტიკას, რომელიც აქ, სეიმის დადგენილების თანახმათ აღიარა მთავრობამ და ამ კრების დიდ უმრავლესობასთან ერთად ჩვენ მოვიხმართ ყოველივე ძალას, რომ გავატაროთ ცხოვრებაში ეს გადაწყვეტილება. (ხანგრძლივი ტაში).

## ჩრდილო კავკასიის ამბები

ჩრდილო კავკასიაში გაგზავნილი დელეგაცია უკვე დაბრუნდა.

შემთხვევით დელეგაციასთან მყოფმა ერთმა პირმა გადმოგვცა მოკლეთ, რომ ჩრდილო კავკასიაში მეტათ გამწვავებული მდგომარეობაა. სამოქალაქო ომმა უმწვერვალეს წერტილს მიაღწია. ბაზარკინას ახლო ნამდვილი ომია. ერთი მხრით დგანან ინგუშები და ჩაჩნები, ხოლო მეორე მხრით—ოსები და ყაზახები. მათ შორის საშინელი ბრძოლა სწარმოებს, არავითარ საშუალებას არ ზოგავენ ერთი მეორის გასანადგურებლათ. ინგუშები მზათ არიან სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის, მათ სურთ შერიგება მოხდეს და უბრალოთ არ დაიღვაროს ძმათა სისხლი, მაგრამ ოსები მეტათ შეურიგებელ პოლიტიკას ადგიან. ჩვენს დელეგატს ის. რამიშვილს მეტათ მკვახედ შეხვედრიან ოსები და არც უნდოდათ მოესმინათ მისი სიტყვა.

კავკავი ბალშევიკების ხელშია. ჩაიგდეს თუ არა ძალა-უფლება ხელში, უპირველეს ყოვლისა ტერორი გამეფდა. დაუხვრეტიათ 26 ოფიცერი, არ ინდობენ არც ქალს და არც მოხუცებულებს. ბალშევიკებს აქ არავითარი რეალური ძალა არა აქვთ, ამიტომ მათ ისარგებლეს საერთო არევ-დარევით, ინგუშებსა და ოსებ-ყაზახებს შორის გამართულ ომით და რაკი პატრონი არევენ იყო, კავკავს დაეპატრონენ.

მათ რომ დიდი დღე არა აქვთ, ამას მოწმობს ერთი ინგუშის სიტყვები: ამ ინგუშს შეჰკითხებიან რამდენათ ძლიერია ბალშევიკების მთავრობა კავკავშიო. ამაზე მას უპასუხია:—იყო ერთი მთავრობა,—ჩამოვაგდეთ, იყო მეორე—ჩამოვაგდეთ, ეს მესამეა და ამასაც მალე ჩამოვაგდებთო.

თფილისის სასურსათო კომიტეტის საბარგო ავტომობილები ბალშევიკებს ჩაუგდიათ ხელში და აღარ აბრუნებენ „ჩვენი საქმისთვის გვჭირიაო“.

## ამიერ-კავკასიის ამბები

**ალექსანდროპოლიდან.** 15 მარტის თარიღით ეშელონების უფროსი შემდეგს ატყობინებს ამიერ-კავკასიის მთავრობას: გუშინ 8 საათზე ჩვენ შეგვაჩერეს ვიღაც შეიარაღებულმა პირებმა. 10 საათზე მივიღეთ სომხების კორპუსის უფროსისაგან შემდეგი ბრძანება ექიმ ტერტერიანის პირით: ბარგის გადატანა არ შეიძლება თფილისში, რადგანაც სარიყამიშის ფრონტს ესაჭიროება. კატეგორიულათ მოგვთხოვეს ჩაგვებარებია ყველაფერი, უკიდურეს შემთხვევაში მივიღებთ ზომებსო, დაგვემუქრენ. ეშელონების უფროსის დაუკითხავათ საინტენდანტოს საწყობის პლატფორმაზე მიაყენეს მატარებელი. ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ, მათ სროლით გვიპასუხეს. გთხოვთ მიიღოთ ზომები.

ყარსის ციხის კომენდანტმა დ. კარომეიცევმა და სამხედრო კომისარმა არზუმანოვმა შემდეგი მოწოდებით მიმართეს ყარსის მცხოვრებთ: „ქალაქში ვიღაცეები ხმებს ავრცელებენ, რომ ვითომ ბათუმი გერმანელებს დაეპყროს, ოსმალებს კი არტაანი აეღოთ. ყველა ამ ყალბი ცნობების გამავრცელებელი პროვოკატორები დატუსაღებულნი იქნებიან და გადაეცემიან სამხედრო-სარევოლიუციო სასამართლოს, რომელიც მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რომ სასტიკათ დაისაჯონ პროვოკატორები. ყველა მოქალაქე მოვალეა ებრძოლოს სამშობლოს მოღალატეებს და ყველა მათ მიერ ჩადენილი საქმე აცნობონ ციხის შტაბში“.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსის ცნობით, შესაძლებელი გამხდარა ერევანსა და კამარლიუს შუა მოძრაობის განახლება. რკინის გზის ლიანდაგის დაცვა თვით ადგილობრივ მცხოვრებთ უკისრიათ.

როგორც ამიერ-კავკასიის რკ.გზ. უფროსი ატყობინებს გზათა სამინისტროს კომისარს, კობლიარსა და ძეგამს შუა 13 მარტს შეიარაღებულ ავაზაკთა ბრბო თავს დასხმია სამგზავრო მატარებელს № 115. დაჭრილია უფროსი კონდუქტორი ზაგნაძე და მუსა ასთაქოვი.

**ჯავახეთი.** 6 მარტს შესდგა ჯავახეთისა და ქ. ახალ-ქალაქის ქართველთა წარმომადგენლების კრება, რომელსაც დაესწრო 70 კაცი. ოსმალეთის მოთხოვნის გამო ბათუმისა და ყარსის ოლქების დაცლის შესახებ კრებამ ერთხმათ დაადგინა, დაუყონებლივ გაგზავნოს თავის ორი წარმომადგენელი თფილისში. წარმომადგენლებმა პირადათ უნდა სთხოვონ ამიერ-კავკასიის სეიმის თავმჯდომარეს კ. ჩხეიძეს და მთავრობის თავმჯდომარეს ევ. გეგეჭკორს გაგზავნონ ჯავახეთში საკმაო რიცხვი ინსტრუქტორებისა და ახალ-ქალაქში ქართველი ოფიცრები ჯავახეთის ქართველთა რაზმის შესადგენათ. დაადგინეს ინსტრუქტორების ჩამოსვლამდე სომხების რაზმებთან ერთათ მთელი ძალ-ღონით დაიცვან ადგილობრივი პოზიციები. ჯავახეთელი ქართველები მოითხოვენ აგრეთვე იარაღს.

## ომი

მას შემდეგ, რაც რუსეთი, როგორც სამხედრო ძალა არარად იქცა, თავის თავად ცხადი იყო გერმანიის იმპერიალისტები მთელს თავიანთ ძალ-ღონეს საფრანგეთისკენ მიმართავდენ.

უკანასკნელი რადიოთი თუ სხვა გზით მიღებული ცნობები ამის აშკარა საბუთს იძლევიან. ეს ცნობები მოდის როგორც გერმანიიდან, ისე საფრანგეთიდან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ცნობებს ხალას ჭეშმარიტებათ ჩვენ მკითხველებს ვერ მივაწოდებთ, ვინაიდან, ძნელია იმის გამორკვევა, თუ რომელი, სადაური რადიო გვაწვდის ასეთ ცნობებს:

**გერმანიიდან** მიღებული ცნობების თანახმად გერმანელები პარიზს ყუმბარებს უშენენ. სომის ველზე დამარცხებული საფრანგეთის და ინგლისის დივიზიები ხელ-ახლა ცდილობდენ წინ წამოწევას. ჩვენ იერიშით გავარღვიეთ მტრის ხაზი. დილიდანვე მტერმა უკან დახევა იწყო სომის მთელ ფრონტზე. სომის სამხრეთით ცხარე ბრძოლის შემდეგ მტერმა დაიხია შოლნერს და ლიონს იქით.

რონიე იერიშით ავიღეთ. ნოიონი მტერმა დასტოვა. ჯერ-ჯერობით გამორკვეულია, რომ ჩვენ წამოგვიღია 963 ზარბაზანი 100 მეტი ჯავშნიანი და მტრის 93 აეროპლანი ჩამოვაგდეთ. დასავლეთ ფრონტზე ბრძოლა მეტად სასტიკია. ინგლისის ზოგიერთი დივიზიები სრულიად გავანადგურეთ. ჩვენი ჯარები მტერს ფეხდაფეხ მისდევენ.

**პარიზიდან:** გერმანელებმა ბრძოლის ველზე სრულიად ახალი ძალები გამოიყვანეს. დღეს აღმოსავლეთით მდებარე პოზიციებზე იერიშები მოიტანეს. ფრანგთა ჯარებმა რამდენიმეჯერ გაუწიეს სასტიკი წინააღმდეგობა გერმანელების იერიშებს. ასეთი ძლიერი იერიშების მოტანა გერმანელებმა იმიტომ შესძლეს, რომ მათი ჯარები ჩვენსაზე მრავალრიცხოვანია.

## რადიო-დეპეშა

**მოსკოვიდან** რადიო იტყობინება: ბალშევიკების კომისარმა ჩიჩერინმა შემდეგი ბრძანება გასცა: მესამე სტ. თანახმად რუსეთის მთავრობას გამოჰყავს თავისი ჯარები ფინლიანდიიდან და სწყვეტს ყოველივე აგიტაციას გერმანიის მთავრობის წინააღმდეგ. რაც შეეხება იარაღის გამოტანას, არ გამოაქვს; ჩვენ დაუყოვნებლივ მივიღებთ ზომებს შევიმუშაოთ წესები რუსეთიდან ფინლიანდიაში იარაღის შეტანის შესახებ. რუს. მთავრობა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულობის ძალით აკრძალული არ არის ფინლიანდიაში იარაღის შეტანა, ხოლო თუ ამას ისე ხსნიან თითქოს ეს იყოს ფინლიანდიის შინაურ საქმეებში ჩარევა, რუსეთის მთავრობას არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ ეს ჩარევა მოხდა გერმანელების მიერ ალანდის კუნძულების დაპყრობის და ფინლიანდიაში დესანტის გადმოსხმის დღიდან, რამაც ჩვენი მხრით თავის დროზე პროტესტი გამოიწვია.

## ახალი ამბები

სეიმის სხდომა შესდგება დღეს, დილის 11 საათზე.

—◆— **გუბერნის სასურსათო კომიტეტმა** მიიღო 1300 ფუთი ნავთი, მოელიან კიდევ 700 ფუთს, ეს ნავთი განაწილდება თფილისის გუბერნიაში.

—◆— **თავდაცვის შტაბის განკარგულებით** ციხეში ჩასვეს იარაღის გაყიდვისათვის ჟან-ზალბალტი, ოსია მამედ მუსა ოღლი და დურსულა მამედ-მუსა ოღლი, მე-5 კომ. მილიციონერი, ნიკო ქერული და მოხელე ვასო გლობიძე. ამავე შტაბის განკარგულებით ქუჩაში სროლისათვის ერთი თვით ციხე მიუსაჯეს სტანისლავ შევჩენკოს.

—◆— **მთავრობის განკარგულებით** გუშინ დაიხურა ბალშევიკური გაზეთები რუსული „კავკასიის პრავდა“ და სომხური „ბანვორი“. სტამბის პატრონთ ხელწერილი ჩამოართვეს, რომ არ დაბეჭდონ ბალშევიკური გაზეთები და არც მათი პროკლამაციები.

—◆— **დუშეთის მაზრის კომისარათ** დაინიშნა ი. ირემაშვილი.

—◆— **კომისარიატის ბრძანებით** სოხუმის საოლქო სასამართლოს ბრალმდებელათ დაინიშნა ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი დელუტო. თავმჯდომარის ამხან. ქუთაისის საოლ. სასამ. წევრი შნეიდერი, სასამართლოს წევრებათ—ნაფ. ვექილი მახარაძე და ნაფ. ვექილის თანაშემწე ვ. კ. ემუხვარი. ქუთაისის საოლქო სასამ. გამომძიებლათ კარსკი, ამავე სასამართლოს თავმჯდომარეთ დაინიშნა ნაფ. ვექილი ნ. ქიქოძე.

—◆— **წითელგვარდიელთა კრება.** კვირას, 18 მარტს, დილის 10 საათზე, პუშკინის სახელობის შენობაში (ხარფუხი) დანიშნულია ორთაჭალის რაიონის წითელგვარდიელთა საერთო საზოგადო კრება. მოხსენებას მიმდინარე მომენტზე გააკეთებს ევგენი გეგეჭკორი. ამხანაგებს სთხოვენ დაესწრონ კრებას სრული შემადგენლობით.

—◆— **რკინის გზის კომიტეტის** თავმჯდომარე მალანია ატყობინებს რაიონულ კომიტეტებს და რკინის გზის ადმინისტრაციას, რომ ის მოსამსახურეები, რომლებიც სამსახურში სისტემატიურათ არ დაიარებიან და ვინც არ შეასრულებს თავის მოვალეობას მტკიცედ და სინდისიერათ, ვისაც დეზორგანიზაცია შეაქვს მოსამსახურეებში—დათხოვნილ იქნებიან სამსახურიდანო.

**კრებები და სხდომები.**

რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე დღეს, საღამოს 4 საათზე შესდგება ამხანაგ და თანამგრძნობ ქალთა კრება.

— ხვალ, დილის 11 საათზე სახალხო უნივერსიტეტის შენობაში (მიხეილის პრ.) ამხ. პ. აზატიანი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ომი და ზავი." ბილეთების ფასი—50 კაპ.

— დღეს, 17 მარტს საღამოს 7 საათზე დანიშნულია მე-2 სამილიციო კლუბის შენობაში (ქავჭავაძის ქუჩა № 17) უნის მცირე კოლექტივის სხდომა.

# თავდაცვა გარეშე მტრისაგან

**ხმა ყაზარმიდან.**

ბათუმი მოხალისეთა ლაშქარით ივსება! ქართველი ერის და, უმეტესად, დასავლეთ საქართველოს რჩეული ვაჟკაცები ამ საშინელ განცდის დროს, მტრის წინ გაუვალ კედელს აშენებს. გახრწნილი და გაველურებული ჯარის ადგილს, ახალი, ნამდვილი რევოლიუციონური ჯარი იჭერს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ან იხსნას ქვეყანა და რევოლიუცია განსაცდელისაგან, ან დაიხოცოს ისე, როგორც შეჰფერის რევოლიუციონერს-მეომარს და სახლში ლაჩარი არ დაბრუნდეს.

როცა ასეთ ჯარს ხედავ, გული იმედით გევსება და გინდა დარწმუნდე, რომ ის ქვეყანა, რომელიც ასეთ შვილებს ზრდის, არ დაიღუპება. ეჭვი არ არის, რომ, როცა ომის ცეცხლი დაინთება აქ, მთელი ერი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგება და დაუმტკიცებს ქვეყანას, თუ რა დიდია მასში თავისუფლებისადმი სიყვარული.

მაგრამ ერთი ფიქრი მოსვენებას არ გაძლევს: ერთხელ დაწყებული ჯარის გახრწნა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ომის ნაანდერძევი საძაგელი ატმოსფერა კვლავ სწამლავს რევოლიუციონურ ყაზარმის ატმოსფერას. ზოგიერთი სალდათის მოქმედება კვლავ არღვევს ჯარის მთლიანობის პრინციპს, რომელსაც არ უნდა დაემორჩილოს არავითარ დისციპლინას, რადგან სიტყვა „დისციპლინის" გაგონება მას ძველ რეჟიმს აგონებს და რაც არ უნდა უმტკიცო მას დემოკრატიული დისციპლინის აუცილებლობა, ის მაინც ძველ რეჟიმზე მიგითითებს. საბედნიეროთ უნდა ითქვას, რომ მოხალისეთა რაზმის შეგნებული ნაწილის გავლენა დიდია და ხსენებული ნაკლი გარდამავალია.

შეგნებული ნაწილი, ვისაც გათვალისწინებული აქვს ოსმალეთის დესპოტიზმის გამეფების შედეგები, ის არა თუ დემოკრატიულ დისციპლინას იცავს, არამედ ძველი დროის უსასტიკეს დისციპლინასაც დაუჭერს მხარს, თუ კი ეს ქვეყანას და ერის ფიზიკურ არსებობას იხსნის. თუ ბევრს არ ესმის დემოკრატიული დისციპლინის მნიშვნელობა და მას არღვევს შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, რითაც ხელს უწყობს მტრის გამარჯვებას, ასეთ შემთხვევაში დისციპლინამ ძველსაც უნდა გადააჭარბოს. ძველი დისციპლინის დამრღვევს შეეძლო თავი ემართლებია იმით, რომ მან ვერ აიტანა მეფის მტარვალების ადამიანის დამამცირებელი შეურაცხყოფანი და იძულებული გახდა გაქცეოდა მას. მაგრამ რით უნდა გავამართლოთ, როცა თავისუფალ ხალხს განსაცდელი მოსდგომია, რევოლიუციას მტკიცე დარაჯი სჭირია და სალდათი-რევოლიუციონერი თავის მოვალეობას არ ასრულებს, ან ხეირიანათ არ ასრულებს? ასეთები ხშირათ თავს იმართლებენ ან იმით, რომ პირობები ცუდია, ან იმით, რომ ომი საჭირო არ არის და ის ბურჟუების საქმეა, და სხვადასხვა.

ყველამ იცის, რომ ჩვენ მუდამ წინააღმდეგი ვიყავით ომის და როცა მას ძალით გვახვევდენ თავზე, მის წინააღმდეგ შეძლების გვარათ ვიბრძოდით. ჩვენი ლოზუნგი იყო ომისა და საერთოდ მილიტარიზმის,—ამ კაცობრიობის განმანადგურებელ ორგანიზაციის მოსპობა, მაგრამ რაკი ის თვითმპყრობელობამ თავს მოგვახვია და მთელი მსოფლიო ომის ცეცხლში გახვია, ჩვენც, როგორც მორჩილნი მაში ჩავებით. ამ ომმა სამარე გაუთხარა მის დამწყებს თვითმპყრობელ მეფეს და რევოლიუციამ ხალხს თავისუფლება მიანიჭა. აქედან ომი თუმც არ შეწყვეტილა, მარა მისი მიზანი შეიცვალა: ომი დაწყებული დაპყრობითი და მტაცებლური, იმპერიალისტურ მისწრაფებებით გამოწვეული, შეიცვალა ომით, ზავის სასარგებლოთ. აქ კი ბოლშევიკურმა ავანტიურამ რუსეთი უფსკრულისაკენ გადაჩეხა და დღეს აღარ არსებობს რუსეთი აღარც თვითმპყრობელი და აღარც დემოკრატიული, არამედ დარჩა მხოლოდ მისი ნანგრევები.

კავკასიის და კერძოთ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კუთხე ბოლშევიკ ავანტიურისტების მიერ გაჩუქებული, ოსმალეთის დესპოტიზმის აჩრდილის წინ დადგა. იმ ოსმალეთის, რომელიც ყველა პატარა სახელმწიფოს ჯოხის მოქნევაზედაც კი შიშით ცახცახებდა, დღეს კი, ბოლშევიკების მიერ მოტყუებულ ჯარისკაცის მიერ მიტოვებულ ფრონტს „ბუმბერაზათ" ევლინება და რაც არ დასიზმრებია, იმის გადაცემასაც მოითხოვს. ნურავინ იფიქრებს იმას, რომ ბათუმი და ყარს-არდაგანის წაღებით დამთავრდება ჩვენი ბედი. ამ კუთხეების წაღება არაფერია იმასთან შედარებით, რაც ჩვენს ნორჩ თავისუფლებას მოელის. და როცა ეხლანდელი ჩვენი ომი, რომელსაც მიზნათ აქვს არა წართმევა, არამედ—თავდაცვა და ჩვენი თავის შენარჩუნება, ასეთი ომი ბუნებრივი აუცილებლობის შედეგია და მისი უარყოფა უაღრესათ მოღალატურია.

ყველა შეგნებული სალდათის მოვალეობაა გაარჩიოს ომი იმპერიალისტური თავდაცვისაგან.

ამ ომის საწარმოვო პირობები მეტად ცუდია წინანდელთან შედარებით და თითეული შეგნებული სალდათის მოვალეობაა, როცა ის აქეთკენ პირს შვრება, წარმოიდგინოს გაჭირვება იმაზე ბევრათ მეტათ, რამდენადაც ის შესაძლებელია სინამდვილეში იყოს. მაშინ შეიძლება ყველა დაბრკოლებების ადვილათ გადალახვა და სალდათი მხოლოდ მაშინ დადგება თავის ნამდვილ მოვალეობის სიმაღლეზე. თუ ოდესმე რამე აკლდა ჯარს, მით უფრო შესაძლებელია ეხლა მიაკლდეს, როცა ყველაფერი დანგრეული და განადგურებულია. აქ მხოლოდ შესაძლებლობაზე ვუთითებ და არა სინამდვილეზე და თუ ყოველგვარ ნაკლულოვანებას კრიტიკის თვალით შევხედეთ და მაზე ვაი და ვიში ვიძახეთ, ამით არა თუ სარგებლობას მოვუტანთ ჩვენს საერთო საქმეს, არამედ—დავარღვევთ სულიერ სიმტკიცეს და მტერს მეტ სამსახურს გავუწევთ. აქეთ მომავალისათვის საჭიროა თავგანწირული სულიერი სიმტკიცე და ყველაფრის ატანა, რაც საუკეთესო გარანტია იქნება იმის, რომ აქ ეხლა შემდგარი ჯარი გამოიჩენს საზღაპრო გმირობას და ქვეყანას მხსნელათ მოევლინება. ასეთ ჯარებს ვხედავთ ეხლა ჩვენ ბათუმის დასაცავათ. ვუყურებ მათ მწყობრ და მტკიცე ვარჯიშობა-სიარულს და თვალი სიხარულისა და იმედის ცრემლებით გევსება.

გმირებით ივსება სამშობლოს ფრონტი, რომლებმაც თავს იდვეს მძიმე საქმე და ისინი იხსნიან ქვეყანას დაღუპვისაგან. მოხალისე **ივლ. ესიკაშვილი.**

# გამოძახილი

გესმისთ, მოძმენო, ვით აჩხავლდენ ჩვენი მტერები,
როგორ შეუწყვეს, შეუხამეს მათ თვისი ხმები?..
ყველანი ერთათ—შინ და გარეთ ირაზმებიან,—
ჩვენს გარდაქელვას, დამონებას ეპირებიან...
უნდათ, რომ მოსრნან, დაარბიონ ჩვენი მამული,
ხალხზე მოვიდენ საბრძოლველათ ხმალ-აღებული;
თავიანთ „ბუნაგში" თუ საზღვრებში, ვერ თავსდებიან—
თავისუფლებას, ჩვენს სიცოცხლეს ემუქრებიან...
ოსმალეთისა უსირცხვილო ალა-ბეგები,
და ჩვენი ზოგი „კუდა-ბზიკა" დიდ-თავადები;
ერთათ მღერიან, ერთ კილოზე უხმატკბილებენ,
რაღაცა ხიფათს გვიმზადებენ, დაფათურებენ!..

ფრთხილათ, მოძმენო! მტკიცე იყოს ჩვენი კავშირი,
ერთათ დავსძლიოთ კარს მომდგარი ეს გასაჭირი;
შევერთდეთ ყველა, მტერს ვეკვეთოთ, გავანადგუროთ,
რომ მით სიცოცხლე, არსებობა შევინარჩუნოთ...
ჩვენ დღეს არ გვარგებს ურთიერთის ცალკე გათიშვა,
ხომ ხედავთ საქმეს: მტრისგან გველის დატუქსვა, რისხვა;
მაშ, შევკრბენ, ძმებო, და დაუფრთხოთ ორგულთა ძილი,
ჩვენც მივიტანოთ სამსხვერპლოზე დღეს ჩვენი წვლილი!..

ალ. გერასიმიძე.

## მობილიზაცია სამეგრელოში.

თფილისში დაბრუნდა ათი დღის წინათ ეროვნული საბჭოს მიერ სამეგრელოში გაგზავნილი დელეგაციის წევრი ამხ. ლეო შენგელაია—ქიაჩელი. მან გვაუწყა, რომ მობილიზაციის საქმე საერთოთ სამეგრელოში კარგათ მიმდინარეობს, გარდა ერთი რაიონისა, სადაც ჯერ კიდევ „ბოლშევიკურათ" გაყოფილი ჯარისკაცების ოინებს გასავალი აქვს ტერორისა და ხალხის გაუგებრობის წყალობით. როგორც ზუგდიდში, ისე სენაკში ხალხი შეგნებულათ ხვდება ოსმალეთის განზრახვის ამბებს და სამშობლოსა და თავისუფლების დაცვის საჭიროებას აღიარებს, მერყეობა თანდათან ისპობა და სამობილიზაციო აპარატი გაფაციცებით მუშაობს. ზუგდიდში დაარსდა თავდაცვის რევოლიუც. კომიტეტი, ადგილობრივი ორგანიზაციები ზომებს იღებენ იმ სინიდისზე ხელ აღებულ აგიტატორების წინააღმდეგ, რომლებიც ქვეყნის ნორჩს თავისუფლებას შეგნებულათ თუ შეუგნებლათ სამარეს უთხრიან, საჭიროა ცენტრებიდან ინტელიგენტ ძალების მიშველება. სულ მოკლე ხანში სამეგრელო სავსებით გამოერკვევა მოსალოდნელი უბედურების წინაშე და, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგება მოსეული მტრის მოსაგერებლათ.

**მობილიზაცია.**

**ჩოხატაურიდან** რაიონის კომისარი პავ. ცინცაძე ქუთ. გუბ. კომ. ატყობინებს, რომ მობილიზაციის საქმე ჩინებულათ მიდის, ხელის შემშლელი პირები არ მოიპოვება, ხალხმა თვით ითავა ეს საქმე. არც ექიმი, არც გაშინჯვა, ჩვენ თვითონ ვიცით ვინ შესძლებს თოფის ხმარებასო. ახალგაზდებს გარდა ბევრი ჩაეწერა მოხალისეთ და უკვე ოზურგეთში გაემგზავრენ მეოთხე პოლკის შესავსებათ.

როგორც იმერეთის სხვადასხვა სოფლებიდან გვატყობინებენ ახალგაზრდებს თვით მცხოვრებლები აიძულებენ, რომ ჯარში ჩასაწერათ გაეშურონ და ვინც ჯარში არ მიდის მათ წინააღმდეგ სასტიკ ზომებს ღებულობენ.

აბაშის რაიონში მობილიზაციის საქმე თანდათან უმჯობესდება. ყველამ შეიგნო ქვეყნის თათრებისაგან დაცვის აუცილებლობა. მობილიზაციის მოწინააღმდეგეებს ისე უყურებენ, როგორც მოღალატეებს. მაგ., ონტოფოში არ ალაპარაკეს ბოლშევიკი ბუდუ მდივანი და წინადადება მისცეს აქაურ შეგნებულმა ჯ.-კ. სოფელი დაეტოვებინა. სენაკში და აბაშაში თავს იყრიან, როგორც მოხალისეები, ისე გასაწვევი პირებიც. ერთი ნაწილი მათი კიდეც გაიგზავნა ბათუმში. ხალხის აღფრთოვანება თანდათან იზრდება. აბაშაში, კვათანში, საჭილაოში, სეფიეთში, ონტოფოში, ნოსირში და სხვაგან გამართულ კრებებზე ერთხმათ ადგენენ ქვეყნის დაცვისთვის გასვლას.

ხაშურის მცხოვრებნი 19—25 წლიანების მობილიზაციას აღფრთოვანებით შეხვდა; მოხუცები თხოულობენ შეიარაღებას და სამშობლოს დაცვაში მონაწილეობის მიღებას. მობილიზაციას ხელს უშლიდა მხოლოდ ორი დეზერტირი, რომლებსაც ჯარისკაცები ზიზღს უცხადებდენ და მოითხოვდენ მათ კრებიდან გაძევებას.

ქიათურიდან სამობილიზაციო კომისიის თავმჯდომარე საყვარელიძე სთხოვს ქუთ. გუბერნიის კომისარს გაუხსნას კრედიტი ახლად ჯარში გაწვეულთა გასაგზავნათ, ანდა გააგებინოს, როგორ მოიქცეს. ჯერ გამოცხადდა 1300 კაცი. ამაში მიუღიათ 900 კაცი. ორი ეშელონი უკვე გაუგზავნიათ.

მალლაკში 11 მარტს დანიშნული იყო დიდი მიტინგი, რომელზედაც უნდა გაერკვიათ საკითხი დღევანდელ მომენტის და მასთან დაკავშირებულ მობილიზაციის საკითხის შესახებ. მიტინგზე ილაპარაკა ამხ. ს. მენაღარიშვილმა, ჯარისკაცები ერთხმად მოითხოვდენ ჯარში გაწვევას არა თუ 25 წლამდე, არამედ ყველა მათი, ვინც წინათ გაწვეული იყო: არავითარი კომისია ჩვენ არ გვინდა. აქ ვინც გასაწვევია, ჩვენ თვითონ გავიწვევთ და მთელი რაზმი ქუთაისში შემოვალთო. აღსანიშნავია ერთი 70 წლის მოხუცის სიტყვები, რომელსაც ბათუმის ეგრეთ წოდებულ „ქაჯეთის" ციხის აღებაში მიუღია მონაწილეობა და რომლის 4 შვილი ეხლანდელ ომში მოუკლავთ. „მე ვიცი, შვილო, თათრების შემოსევა თუ რა უბედურებას უქადის ქართველებს. ისინი არ დაინდობენ არავის და არაფერს და ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ მივაშუროთ სიმაგრეებს ბათუმისაკენ. მხოლოდ ნუ დამანახვებთ მოღალატე დეზერტირებს, მათ წინააღმდეგ იღონეთ რამე. მე 4 შვილი ომში მომიკლეს, ეხლა მეც შემიწირეთ. ოღონდ ქვეყანა გადაარჩინეთო".

11 მარტს ხონის ბაღში მოხდა მიტინგი. მიტინგი მოიწვია ადგილობრივმა მენშევიკურმა ორგანიზაციამ: მიტინგი გაიხსნა 4 საათზე. პირველათ ილაპარაკა გუბერნიის კომისარმა ამხ. კაჩუხაშვილმა. მერე ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელმა ამხ. შალვა შარაშიძემ, ბოლშევიკმა ბახტაძემ. ამის შემდეგ ამხ. კ. ჭუმბურიძემ და გ. ფაღავამ. საერთოდ ჩვენებს ყველას დიდი ალტაცებით უსმენდენ, ბოლშევიკებს კი ხშირად აწყვეტინებდენ სიტყვას. მიტინგმა გადასწყვიტა დაიცვან სამშობლო და რევოლიუცია.

**აბაშის** სარ. ს. დ. კოლექტივმა გადასწყვიტა 5 მარტს რაიონის ყველა სოფლებში გაემართა კრება, რომ მცხოვრებთათვის ვრცლათ გაეცნო მომენტის სიმძიმე. 7 მარტს, დ. აბაშაში მოწვეულ იქნა კვათანის საზ. და აბაშის მცხოვრებთა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მომხსენებლათ გამოვიდა ამიერ-კავკასიის მუშებში კარგათ ცნობილი მუშა სეიმის წევრი ამხ. ვლადიმერ ჯიბლაძე. მან მიუდგომლათ გააცნო საზოგადოებას რუსეთის რევოლიუციის სხვადასხვა მომენტები და მხოლოდ აქა-იქ მოიხსენია ბოლშევიკების უარყოფითი მოღვაწეობა, ისიც იმდენათ, რამდენათაც მათი ხსენება აუცილებელი იყო ამა თუ იმ მოვლენის დაფასებაში. მან წინასიტყვაობაში სთქვა: პარტიულ კინკლაობა არ მინდა და არც მოვანდომებ ერთ წამსაცო და ეს სიტყვები სავსებით გაამართლა. მის წინააღმდეგ სალაპარაკოთ გამოვიდა ცნობილი თავის გამოსვლებით ქუთაის-ჩხარში და სხვაგან **ბუდუ მდივანი.**

რა პასუხი გასცა დარბაისელ მომხსენებელს ბ. მდივანმა?—პეტროგრად-ოდესა-კიევი გარეშე მტერს არ აუღია, იქ ბოლშევიკები სოციალიზმს ქედენ, გერმანიის პროლეტარიატში რუსეთის პროლეტარიატმა „ბრატანიეს" საშუალებით უკვე ვადაისროლა რევოლ. ნაპერწკალი, რუსეთის სოციალისტური რევოლიუცია აყვავების გზას ადგია, მხოლოდ ამიერ-კავკასიაში კონტრ-რევოლიუციაო, გაიძახოდა ის. ამიერ-კავკასია დააქცია კონტრ-რევოლიუციონურ კომისარიატმა, მენშევიკებმა აისრულეს წადილი და გამოყვეს ამიერ-კავკასია რუსეთიდან, აქ შეადგინეს სეიმი, რომელიც მთლად კონტრ-რევოლიუციონურიაო, ხალხი მას არ თანაუგრძნობსო. მობილიზაციაზე სთქვა: ჩვენ არ გვაქვს იარაღ-სურსათი საკმაოთ, ვერ ვიბრძვით და ამიტომ უსიტყვოთ უნდა გადავცეთ ოსმალეთს ბათუმ-ყარს-არდაგანიო. ცოტა ქვემოთ სთქვა: თუ ჩამოვაგდებთ კონტრ რევოლიუციონურ სეიმს, თუ გამოვცვლით ყველგან დღევანდელ მთავრობას და ახალს ავირჩევთ, მაშინ მომხრე ვიქნები მობილიზაციის.

ამხ. ვლ. ჯიბლაძემ მას ფრიად შესაფერი პასუხი გასცა. რაკი მდივანმა სთქვა, რომ სეიმს ხალხის უმრავლესობა არ ენდობაო ვლ. ჯიბლაძემ სთხოვა თავმჯდომარეს კითხვა დაესვა სეიმის ნდობა არ ნდობაზე. კრებამ ერთხმად (გარდა ოციოდე გზა აბნეულისა) ნდობა გამოუცხადა სეიმს, რასაც ოვაციებით და „გაუმარჯოს სეიმის" ძახილით შეხვდენ. დაებნა ბ. მდივანს დავთარი, მაგრამ მას არ სჩვევია, ალბათ, გაწითლება. ამიერ-კავკასიის რუსეთიდან გამოყოფის საბუთად მან მოიყვანა საკუთარი ფულის მოჭრა, რაზედაც ამხ. ჯიბლაძემ მას მიუთითა ცარიცინის, ბაქოს და სხვ. ბონებზე. ერთის სიტყვით, ბ. მდივანმა იცის, რომ კავკასიის მენშევიკები იძულებული იყვენ გადაედგათ ის ნაბიჯი, რაც მათ გადადგეს, ისიც, რომ ამავე მენშევიკებმა გადაარჩინეს ჩვენი ქვეყანა იმ საშინელ სისხლის ღვრას, რომელსაც ბოლშევიკების წყალობით ადგილი აქვს რუსეთში, მაგრამ ის მაინც ცდილობს საზოგადოების თვალის ახვევას, მოტყუებას.

ოსმალეთის სულთანს ბ. მდივანისებრ ვერვინ შეუწყობს ხელს ამიერ კავკასიაში ბატონობის დამყარებაში. თუ რომელიმე მისი მოსამსახურე ღირსია ფაშის წოდების, ყველაზე უწინ ამ ღირსებით სულთანს შესამკობი ჰყავს ბ. მდივანი. კრების დროს შემთხვევით ჩამოიარა რუსეთიდან მომავალმა ქართველ ჯ.-კ. ეშელონმა—150 კაცმა, რომელთა წარმომადგენელმა, როგორც გავიგეთ შემდეგ, ექიმმა ეშელონის სახელით წარმოსთქვა სიტყვა და კრებას მკაფიოთ დაუსურათა ბოლშევიკების მოღალატეობა. მისმა მოსწრებულმა სიტყვამ მხურვალე ტაში გამოიწვია და დიდი შთაბეჭდილება იქონია. ილაპარაკეს მენშევიკების მხრით ბ. ძველაიამ და ან. ანჯაფარიძემ, ილაპარაკა ორმა ჯარისკაცმა. მათ სთქვეს: ჩვენ პირობას ვდებთ, რომ გერმანია რუსეთში არ მოდის და თათრები აქ არ მოვლენო. ალბათ, ბუდუმ დაარწმუნა ასე... ბუდუს პარტია ამ დღეს საერთოდ სასაცილოდ იყო აგდებული კრების დიდი უმრავლესობის მიერ. იმავე საღამოს სხვათა შორის სამხ. შტაბის კრებაზე დადგენილ იქნა: ვინაიდან ბ. მდივნის გამოსვლები მოღალატურია და იგი არღვევს დადგენილებას მობილიზაციის ჩალში ცდით, დატყვევებულ იქნას და წარდგენილ იქნას გუბ. კომისართან. 8 მარტს ეს დადგენილება სისრულეშიც მოიყვანეს. („ს. დ.")

# ამიერ-კავკ. საბჭოების წითელ გვარდ. ყრილობა

20 მარტს დანიშნულია ამიერ-კავკასიის საბჭოების წითელ გვარდიელთა პირველი ყრილობა.

ყრილობის მიზანია წითელ გვარდიელთა ერთნაირ ორგანიზაციის შექმნა.

მოწვევის წეს-რიგი და წარმომადგენლობა:

1) ყრილობაზე წარმომადგენლობის უფლება აქვთ როგორც ქალაქის, ისე სოფლების ყველა წითელ გვარდიას, რომლებიც შემდგარია საბჭოებთან ან რევოლიუციონურ აღმასრულებელ კომიტეტებთან. პარტიულ წითელ გვარდიელებს წარმომადგენლობის უფლება აქვთ. 2) წითელი გვარდია, რომელთა რიცხვი 50—100 მდეა გზავნის ყრილობაზე ერთ დელეგატს და თვითეული სრული ასეული თითო წარმომადგენელს. 3) წვრილი ერთეულები ერთდებიან.

განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) წითელი გვარდიის მიზანი და დანიშნულება, 2) ქვეყნის დაცვა, და მასში წითელ გვარდიის მონაწილეობის მიღება, 3) ამიერ-კავკასიაში წითელ გვარდიის დაარსების ინსტრუქცია, 4) მუდმივი ჯარი, საყოველთაო მილიცია და წითელი გვარდია, 5) ცენტრალურ შტაბის არჩევა.

ყველა ეს კითხვები წინასწარ უნდა განიხილოს ადგილობრივ.

ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო ბიურო სთხოვს ამხანაგებს დროზე გამოგზავნონ ყრილობაზე წარმომადგენლები.

ცნობების მიღება შეიძლება შემდეგი მისამართით: თფილისი, სასახლე წითელი გვარდიის შტაბი.

**საორგანიზაციო ბიურო.**

# სეიმის აგრარულ კომისიაში

სეიმის აგრარულმა კომისიამ განიხილა საკითხი „ჩამორთმეულ მიწების პატრონთა სამეურნეო ინვენტარის რეკვიზიციის შესახებ" და დაადგინა წარუდგინოს სეიმს 17 მარტის კრებაზე, ამის შესახებ კანონ პროექტი.

კანონ-პროექტი ასეთია:

„ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის 7 მარტს მიღებული კანონის შესაფერისათ, რომლითაც განისაზღვრება მემამულეთა ხელში დატოვებულ მიწების ნორმა და მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარების ზომები, დადგენილ იქნას:

1) სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტებს და, სადაც ასეთები არ არის, მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულთ უფლება ეძლევათ მიწების ჩამორთმევის დროს ჩამოართვან მემამულეებს ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, თუ ეს საჭიროთ დაინახეს, გარდა იმისა, რაც საჭიროა თვით მემამულესთვის დატოვებულ მიწის დასამუშავებლათ.

2) ჩამორთმეულ ინვენტარში მემამულეს მისცემენ სასყიდელს, რომელიც განისაზღვრება მიწათ-მოქმედების მინისტრის მიერ დადგენილ წესით.

3) საადგილ-მამულო კომიტეტებს ან მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულებს შეუძლიათ ჩამორთმეული ინვენტარი ან თვითონ დაიტოვონ და ან საქმის უფრო კარგათ საწარმოებლათ გარდასცენ იმ მიწის მუშებს, რომლებიც საჭიროებას განიცდიან, საკუთრებათ ან დროებით განსაზღვრულ ფასებში.

4) ყოველ იმ შემთხვევების დროს, როდესაც ინვენტარის რეკვიზიციას ახდენენ, სამაზრო კომიტეტები ვალდებული არიან დაწვრილებითი აღწერით წარუდგინონ ცნობა საგუბერნიო კომიტეტს და თან ისიც უნდა აცნობონ, როგორ გაანაწილეს ეს ინვენტარი.

5) ეს კანონი ძალაში შედის იმ დღიდან, რა დღიდანაც მას სეიმი მიიღებს".

აგრარული კომისია სთხოვს საფინანსო კომისიას დაჩქარებით განიხილოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარებას შეეხება და ახლო მომავალში წარუდგინოს სეიმს განსახილველათ.

# ქართველ ქალებს

(ქართველ ქალთა ყრილობის მომწვევ საპარტიათაშორისო და ქალთა კავშირების ბიუროსაგან)

ქართველო ქალებო! როდესაც ჩვენი ბიურო არსდებოდა, მიზნათ ისახავდა ქართველ ქალთა ყრილობის მოწვევას. ამ ყრილობაზე უნდა განხილულიყო და შემუშავებულიყო რევოლიუციით მოპოვებულ ქალთა უფლებების განმტკიცების საქმე ცხოვრებაში და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესობა თავისუფალ სამშობლოში. უნდა გარჩეულიყო საკითხები: დედობის დაცვისა, ქალთა შრომის ყველა დარგების გათვალისწინება და ორგანიზაციებისა, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის შეცვლა ქალთა უფლებების სასარგებლოთ და სხვა მრავალი ქართველ ქალთათვის ფრიად მნიშვნელოვანი და საჭირო საკითხები უნდა გადაეწყვიტა ამ ყრილობას. მაგრამ ახლა დადგა წუთი, როდესაც ყველა საკითხი უნდა გადიდდეს. გადიდდეს უნდა იმ საშინელ, საბედისწერო საკითხის გამო, რომელზედაც დამოკიდებულია სამშობლოს, თავისუფლებისა და ერის ყოფნა არ ყოფნის საქმე.

დიდი უბედურება მოგვადგა კარს!

შეიძლება ახლოს არის ის დრო და ჟამი, როდესაც ჩვენ ერს მოუხდება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება სიცოცხლისა და ბედნიერების უფლების მოსაპოვებლათ.

ქართველო ქალებო! ეს დრო გავალებთ გახდეთ თქვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, ღირსეული შვილი თქვენი ერისა. იმ დროს, როდესაც თქვენ ქმრებს, ძმებს და შვილებს სამშობლო მოუწოდებს მეომართა რაზმებში, როდესაც შესაძლებელია ჩქარა დაიღვაროს იმათი სისხლი სამშობლოსა და თავისუფლებისათვის, მიეშველეთ იმათ! შესწირეთ მთელი თქვენი ძალღონე მშობელი ერის თავდაცვის საქმეს, მის სიცოცხლეს, მის მომავალს. დეე ყოველი თქვენი ფიქრი ამ განსაცდელის ჟამს ეკუთვნოდეს სამშობლოს თავდაცვას, მთელი თქვენი ძალღონე საქართველოს ხსნას.

ჩვენ ბიუროს, რომელიც შესდგება ყველა საქართველოში მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა და ქალთა კავშირების წარმომადგენელთაგან არ შეუძლია გულგრილათ უყუროს ასეთ დიდ ეროვნულ უბედურებას და გადასწყვიტა იკისროს მთელი რიგი პრაქტიკული მოქმედებისა სამშობლოს დაცვის საქმეში. საჭიროა სახსრის გამოძებნა თავდაცვის საწარმოებლად და თვით ქალთა ორგანიზაციების შესანახად. არა ერთხელ უკისრნია ქართველ ქალს დახმარება გაეწია სამშობლოსათვის სხვადასხვა სახით. არა ერთხელ გაუწირავს მას თავი. და თუ ასე ხდებოდა წინათ, ახლანდელ არა ნაკლებ გაჭირვებულ დროს, კულტურულად უფრო მაღლა მდგომარე ქალმა უნდა გამოიჩინოს მეტი უნარი. მთელი საქართველოს ახალგაზრდობა სამშობლოს დასაცავად იარაღს აისხამს და საჭიროა ყოველ დარგში მათი ადგილი დაიჭიროს ქალმა, რომ სოფელს არ მოაკლდეს ცხოველ-მყოფელი კულტურული ძალა და ბავშვებიც არ შეფერხდენ განვითარებაში. უნდა შევსძლოთ განვათავისუფლოთ ყოველი მამაკაცი თავდაცვისათვის და მათი ადგილები ჯარის ზურგში უნდა შევავსოთ მომზადებული ქალებით. ამისთვის საჭირო იქნება შრომა და მტკიცე შეკავშირება ყველასი. საჭიროა ყველა ქალაქსა და სოფელში დაარსდეს ქალთა კავშირები. ამის განხორციელებას ფიქრობდა ჩვენი ბიურო, მაგრამ დრომ გაგვასწრო. ორგანიზაციულად შეკავშირება უფრო საჩქარო გახდა და მაშასადამე თვით ადგილობრივმა ქალებმა უნდა იკისრონ შეკავშირება და ორგანიზაციების შეკვრა. საჭიროა, რაც შეიძლება, მალე დაარსდეს ყველგან ბიუროები და მისამართები შეგვატყობინონ.

სამწუხაროდ ყოველივე ეს ასე სწრაფად არ შესრულდება და ცხოვრება კი მოითხოვს დასმული გეგმის განხორციელებას შეუდგეს ნაწილობრივ მაინც.

მაშ დავიწყოთ პატარა საქმით, რომელიც თავდაცვის საქმეში მეტად დიდია!

ამ წუთის მორიგი და მეტად საჩქარო საქმე—საწყობებში მუშაობაა მეომართათვის ტანისამოსის გადარჩევა და მოწესრიგება—შეკერვა გადაკეთებაა. მასალა ბევრია, მხოლოდ მუშა ხელებია საჭირო.

ნუ დაიშურებთ ამ ხელებს თქვენი ერისათვის!

შეუმოსავად არ შეიძლება შესდგეს ჯარი და ქვეყნის დაცვა კი შეუძლია მხოლოდ ჯარს. ტანისამოსი ტყვია-წამალზე ნაკლებ საჭირო როდია ჯარისათვის. მაშ დაეხმარეთ მას!

თუ ომი აუცილებელია, თუ სხვა გზა არ არის ჩვენი ერის ყოფნა არ ყოფნისათვის, თუ ესოდენ მსხვერპლის გაღებას კისრულობს სამშობლო, ჩვენც მწარე გრძნობით, მაგრამ მაინც მხარში უნდა ამოუდგეთ ჩვენ მეომრებს, იმათთან ვიყოთ და დავეხმაროთ სამშობლოს დაცვის საქმეში. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი საათი მუშაობისა აძლიერებს იმედს ჩვენი ერის თავისუფლებისა და ბედნიერებისას

დაყოვნება შეუძლებელია. მაშ შეუდგეთ საქმეს.

ყოველი ქალი მოვალეა თავისი წვლილი შემოიტანოს ამ საქმეში. არავის არა აქვს უფლება განთავისუფლდეს შრომისაგან.

მაშ მომართეთ ბიუროს, ჩაეწერეთ და სამშობლოს განკარგულებაში ჩარიცხეთ თქვენი თავი.

ბიურო.

P. S. ბიუროს მისამართი: „ნაკადულის" რედაქცია. დავითის ქ., 2. სამუშაოდ მსურველთ ჩაწერა შეუძლიათ: საჩაიე „ძმურ-ნუგეშში" გოლოვინის პროსპექტი. და თამარ ჩიჯავაძესთან—ვერა, ოლღას ქ., 52. 11—12 საათამდის დილით.

# უცხოეთი

**პ. ბ. აქსელროდის აზრი ბოლშევიკების შესახებ.** რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთი მამათ მთავართაგანმა პ. ბ. აქსელროდმა გამოაქვეყნა ფრანგულ გაზ. „ჰუმანიტეში" მიმართვა ინტერნაციონალისადმი—ბოლო მოელოს დუმილს ტერორის სისტემის გამო, რომელიც რუსეთში გაამეფეს ბოლშევიკებმა სამხედრო გადატრიალების საშუალებით—სისტემის, რომელსაც ამაგრებენ სოციალიზმის სახელით ჩადენილ ძალადობით. ეხება რა ბოლშევიკების სრულ განცალკევებას, რომლებმაც ქვეყანა ჩააგდეს სამოქალაქო ომის საშინელებაში—პ. აქსელროდი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ბოლშევიკები თავის მოქმედებით ხელს უწყობენ თეთრი ტერორის—კონტრ-რევოლიუციის მოახლოებასო.

გაზ. „ფორვერტსი" სწერს, რომ გერმანიის სოციალ დემოკრატია ცდილობს გამოარკვიოს გერმანიისა და რუსეთის ურთიერთობა და მიისწრაფვის არა მარტო სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტისაკენ, არამედ—ნამდვილ ზავისაკენ. იგი მზათ არის გამოიყენოს მთელი თავისი ძალ-ღონე. მთელი თავისი გავლენა საზავო პოლიტიკის სფეროში, მაგრამ შეცდომა იქნებოდა თუ ვინმე იფიქრებდა, რომ გერმანიის მუშათა კლასი ცდილობს ძალით ჩაიგდოს ხელში ძალაუფლება; რომ დაეხმაროს რუსეთს. ეს იქნებოდა გამოსვლა უმიზნო და თითქმის საშიში მაშინ, როცა დასავლეთის ფრონტზე სამხედრო მოქმედება გრძელდებაო.

# სადახლოს ამბები

უნდა ვაღიაროთ, რომ რკინის გზის მოსამსახურეები განსაცვიფრებელ სიმხნევეს და საქმისადმი სიყვარულს იჩენენ! მათი მდგომარეობა აუტანელია. ჯერ იყო და ფრონტიდან ეშელონების გავლის დროს მათი სიცოცხლე ყოველ წუთს საფრთხეში იყო, ამას მოყვა შამხორის და სხვა ამბები. ამ ჟამად, ყარსის ლიანდაგზე იგინი უარეს დღეში იმყოფებიან—ბიაბურ მინდვრებში აშენებულ სადგურებს თავს ესხმიან თათართა ბრბოები, სძარცვავენ და იკლებენ მათ... სადგურებ: აშაგასერანს, კოდას, კუმისს და სანდარას თავს დასხმიან და მთლათ გაუძარცვავთ. ტირილი მოუვიდოდა კაცს, როდესაც ჩამოვლის დროს ეს სადგურები ვნახეთ—ოდესღაც ცოცხალი და მოძრავი სადგურები გულსაკლავათ ჩაბნელებული გამოიყურებოდენ. საცხოვრებელი ბინებიდან სუყველაფერი წაეღოთ. ტელეგრაფის და „ქეზლის“ აპარატები რაღაც მანქანებით ჯერ კიდევ უვნებლათ დარჩენილიყო. სადგურ სანდარაზე ასეთს კურიოზს წავაწყდით: სადგურში სანათი ბჟუტავდა, როდესაც შევედით ერთი თათარი ვნახეთ, შეკითხვის დროს თუ რათ არის ის აქ—გვიპასუხა: სოფელმა გამომგზავნა მე აქ სადგურის „უფროსათ“ და მეთვალყურეთო! ჩვენც შეურიგდით ამ გარემოებას და სრულიად უკაცობას ვარჩიეთ იმის იქ დატოვება მეთვალყურეთ.

სადახლოში ცხარე ბრძოლის დროს გვქონდა ისეთი მომენტი, რომელიც ფრიად კრიტიკული იყო ჩვენთვის,—გარს შემორტყმულნი, ხიდები დამწვარი და ყველაფერს მოწყვეტილნი, მაგრამ უნდა ვსთქვა ჩვენი გვარდიის სასიქადულოთ, რომ წარბი არავის შეუხრია, ყველამ გადავწყვიტეთ არაფრის გულისთვის უკან არ დაგვეხია და გვებრძოლა ბოლომდის!

12 მარტს, იქნებოდა საათის 2, როდესაც ჯავშნიანი მატარებელი სანაინის მხრისკენ გზის დასათვალიერებლათ გავისტუმრეთ, მას აუტეხეს სროლა. უნდა ავღნიშნო, რომ რომელიმე დამწვარ ხიდს, რომ მიუახლოვდებოდით, მაშინათვე სროლას დაგვიწყებდენ, იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ ხიდის გაკეთებაში. როდესაც მატარებელი ხიდთან გაჩერდა, სინაინის მხრიდან მოისმა ხშირი სროლა, რომელიც მთელ დღეს სწარმოებდა. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა ლიანდაგს გასწვრივ 30 კაცამდე შავი მწკრივი, („ცეპი“), რომელიც ბრძოლით მედგრათ წინ მოიწევდა, მიუხედავათ იმისა, რომ იგინა სრულიად დაუცავი იყვენ და ტყვია წვიმასავით მოდიოდა, მაინც უშიშრათ წინ მოიწევდენ. რა მოგვიახლოვდენ, ესენი აღმოჩნდენ სანაინის დეპოს და რკ. გზის მუშა-მოსამსახურეების წითელი გვარდია, მათ შორის იყო სტუდენტი—გზის ოსტატის შვილი, რომლის გვარი არ ვიცი—თითქმის ყველა ქართველები იყვენ. ამათთან შეხვედრამ დიდი სიხარული გამოიწვია. მათ გაეგოთ, თუ არა ზარბაზნების ხმა, ვეღარ მოეთმინათ და ჩვენსკენ წამოსულიყვენ. ამ რიგათ, სანაინის მხრივ გაიბა ძაფი და ეს კი უკვე ნახევრათ გამარჯვება იყო. ამათივე მთავარი დახმარებით, რომლებსაც რკინის გზის შესაკეთებელი მასალები თან წამოეღოთ, შევუდექით დამწვარი ხიდის შეკეთებას, რომლის კეთების დროსაც განუწყვეტელი სროლა იყო და ერთი სანაინელი ამხანაგი კიდეც დაგვიჭრეს... ხიდი მალე მზათ იყო...

მოსულებმა გვიამბეს, რომ ორი ათასზე მეტი სომხის შეიარაღებული გლეხკაცობა მწკრივათ მთელ მიდამოს მოსდებია და ბრძოლით წინ მოდის. ჩვენ მაშინვე მატარებელით გავეშურეთ. ერთი ვერსი რომ გავიარეთ, მართლაც დავინახეთ აუარებელი შეიარაღებული ხალხი. ამ სურათმა ფრიად მძიმე და წაუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე, ეს ილაჯგაწყვეტილი მშრომელი ხალხი იმის მაგივრათ, რომ საგაზაფხულო სახნის-სათესისათვის მოეკიდა ხელი, რომ „პური ჩვენი არსობისა“ მოიწიოს, აუღია ხელში ადამიანის გამანადგურებელი იარაღი და თავის ძმაზე სასისხლოთ მოიწევს. დაეწვათ და გაეძარცვათ რამდენიმე თათრის სოფელი—რასაკვირველია, როცა მოახელეიდენ ეს უკანასკნელნიც ასევე უზღავდენ.. რა მიუახლოვდით სანაინელების „შინაურულათ“ გაკეთებულ ჯავშნიან მატარებელს, ვნახეთ, რომ მის წინ საშიშრათ გამოიყურებოდა ჩვენი სიამაყე საუკეთესო მრავალ ბრძოლაში გამოვლილი—ჯავშნოსანი ამხ. ვალ. გოგუაძის მეთაურობით. წუთები ფრიად სასიხარულო იყო და დასრულდა ორი ზარბაზნის „სალიუტით“. ამას შემდეგ გამარჯვებაზე ეჭვიც კი ცოდვა იყო. მაშინვე დავიბარეთ სომხების ლაშქარის უფროსი და გავაცანით ჩვენი მიზანი და მასთან განვუცხადეთ, რომ ჩვენ თფილისის შეიარაღებული რევოლიუციონური დემოკრატია განურჩევლად ეროვნებისა, არავის ნებას არ მივცემთ, სადაც ჩვენა ვართ, რომ ვინმემ სოფლები დასწვას და გაანადგუროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ სასტიკ ზომებს მივიღებთ თქო. ასეთი ჩვენი მოთხოვნის შემდეგ იმათ აღგვითქვეს, რომ შევაჩერებთ ჩვენ წინსვლას და მოქმედებასო. მართლაც იმ მხრიდან შეტაკება ჩვენ წამოსვლამდის აღარ განმეორებულა. აქვე შევიტყვეთ, რომ ჩვენი ამხანაგები ამხ. ძიძიგურის მეთაურობით, რომლებსაც ტყვიის მფრქვეველები მიქონდა ყარსისკენ და რომლებიც სადახლოში წართმევის შემდეგ თათრებს გაეშვათ იარაღიანათ,—როგორც ქართველები,—ერთ ერთ სადგურზე სომხებს დაეტუსაღებინათ და იარაღი აეყარათ. ეს ცოტაა. იმ ღამეს კინაღამ თვით გასამართლება არ მოეხდინათ მათზე..

თქვენ ქართველები თათრებს ტყვიის მფრქვეველებს ურიგებთ, ჩვენ კი გვატყუებთ—წაგვართვესო. ასე გვიუბნებოდენო, გვიამბეს ამხანაგებმა. იგინი სიკვდილისგან ეხსნა სანაინელ ამხანაგებს და ამ დროს გოგუაძის ჯავშნოსანსაც მიეწრო.

სადგურზე დაბრუნებისას, როდესაც უკვე წამოსვლას ვეპირებოდით, მოვიდენ სადახლოელი თათრები, რომლებმაც მოიტანეს თათრის კორპუსის უფროსის—მაღალოვის წერილი, რომელიც თფილისიდან იყო გამოგზავნილი საქმის გამოსარკვევათ—მაღალოვი იტყობინებოდა: სადახლოდან სამ ვერსზე ერთი სოფელია, რომელსაც სომხები ესხმიან და დაწვას უპირობენო. ხალხი გთხოვთ თქვენ, რომ ნება მისცეთ იარაღით წინააღმდეგობის გაწევისა, მეც პირადათ გთხოვთ, რომ ზომები მიიღოთო. ჩვენ მყისვე ამხ. ვ. ჯუღელი გავაგზავნეთ სომეხი და თათარი გვარდიელების თანხლებით იქით, საცა ეს ამბავი ხდებოდა.

დაბრუნებისას გვიამბეს, რომ მიზნისთვის მიეღწიათ და ასეთი ამაღელვებელი სურათიც ყოფილიყო: როცა თხრილებიდან ამოსულიყვნენ თათრების და სომხების მოხუცებულები, თვალცრემლიანნი ერთმანეთს გადახვეოდენ და შენანიებით დაეკოცნათ, ამრიგათ, ერთმანეთზე იარაღ აღებულებმა სცნეს თავიანთი შეცდომა, რომ იგინი პროვოკაციის მსხვერპლნი არიან და შეჰფიცეს ერთმანეთს ძმობა...

ყველა უბედურებასთან ერთად სადგურზე არ იყო წყალი ორთქლმავალებისათვის, მაგრამ მუშა რის მუშაა თუ თავის ბედს თითონ არ გასჭედს! თოფაკიდებულებმა ხელოსნებმა მწრაფლ გაალეს წყლის საქაჩავებელი მანქანების სადგომი, მანქანები მოიყვანეს მოძრაობაში და ერთი საათის შემდეგ რამდენიც გნებავდათ წყალი იყო... აშაგასერონიდან მოსულმა მუშებმა შეაკეთეს დამწვარი ხიდები და 12-ში ღამე გამოვუდექით გზას ორი მოკლული და 16-მდის დაჭრილი ამხანაგებით. აქ კიდევ ბევრი დარჩა სათქმელი, მაგრამ წერილი ისედაც გაგრძელდა.

სადახლოში დავტოვეთ ერთი ჯავშნიანი მატარებელი ამხ. ვ. შარაშიძის მეთაურობით. მიუხედავათ იმისა, რომ ამხანაგები სამი დღის უძილონი და ბრძოლაში გამოვლილნი იყვნენ, მაინც ხალისით დარჩენ სადახლოში, რომ მოსამსახურეები უზრუნველ ეყოთ.

ს. მაისურაძე.

P. S იარაღი, რომელიც სომხებს აეყარათ ჩვენი ამხანაგებისათვის ამხ. ალ. დგებუაძეს ერთი თოფის გარდა ყველა ჩააბარეს და უკანვე მოიტანა მან.

ს. მ.

# სოც.-დემ. პარტიაში

**ხოფ. ვანი** (გურია). 10 მარტს შესდგა ამ სოფლის რ. ს. დ. მ. პ. „იაჩეიკის“ წევრთა კრება. განსახილველი კითხვები იყო: პარტიული ორგანიზაცია, დამატებითი კანდიდატების არჩევნები, პარტიული მუშაობის გაცხოველება, ბათუმში მყოფ ჯარისკაცთა თხოვნა. პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კოწია გ. მახარაძე. მან ჩამოთვალა ყოველივე ის მიზეზები, რომელმაც გამოიწვია საერთო ახალგაზრდათა მობილიზაცია 19 წლიდან დაწყებული 25 წლამდე და აგრეთვე ყველა პარტიულ ხელმძღვანელების მოხალისეთა გასვლამ. მომხსენებელი მოუწოდებს ამხანაგებს, რომ დაჩქარებით იქნას არჩეული ორგანიზაცია ხელმძღვანელთა, რომლებიც შეეცდებიან როგორც სოფლათ, ისე საზოგადოებაშიაც ორგანიზაციული მუშაობის მოგვარებას. კრებამ წინადადება მიიღო.

ჯარისკაცთა თხოვნის შესახებ მოხსენებას აკეთებს მასწ. ძირიან სიხარულიძე. მან გააცნო დამსწრეთ ვანელ ჯარისკაცთა თხოვნა. კამათის შემდეგ ასეთი რეზოლიუცია იქნა გამოტანილი: ის მიწები, რომელიც მოიპოვება სოფ. ვანის რაიონში და ამასთანავე იმის საშუალებაც თუ ექნება საზოგადოებას, რომ ეს მიწები გაიცეს იჯარით, იმ შემთხვევაში არამც და არამც არ მიეცეს სხვას საყანეთ, გარდა მარტოხელ ჯარისკაცთა ოჯახებისა. ამასთანავე კრება სურვილს გამოსთქვამს, რომ არჩეულ იქნას ჯარისკაცთა ოჯახების დამხმარე კომისია, რომელიც შეეცდება დახმარება გაუწიოს ჯარში მყოფთა ოჯახებს.

ს. წაბლნარელი.

# მუშათა შორის

**თფილისი** „ერთობის“ მე-57 ნომერში მოთავსებული იყო წერილი, ვიღაც შვეიცარის მიერ ხელმოწერილი.

ავტორი ასწერს რა თფილისის სასტუმროების მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრებას, არავითარ საბუთებს არ ჩამოთვლის დაწერილის დასამტკიცებლად. ის ამბობს, ვითომც მუშა მოსამსახურენი ხარჯის ფულათ 1 მანეთსაც არ ღებულობდენ, რომელიც ამ უკანასკნელ დრომდე მომრიგებელ კამერის მიერ იყო გადაწყვეტილი ვინც ხარჯს არ ღებულობდა თვიურად 15 მან. და ეხლა თვით სამედიატორო სასამართლოდან არის მიღებული 60 მან. წერილის ავტორს კიდევ სხვა დაუკვირვებელი და გაუთვალისწინებული მაგალითები მოჰყავს; დაბოლოს ავტორი ეხება მთელი პროფესიონალური კავშირის გამგეობის წევრების სრულ უმოქმედობას ჩემი სახელი და გვარის გამოკლებით. მე ძალიან სამწუხაროთ მიმაჩნია, რომ მას ასეთი დაუსაბუთებელი წერილით რედაქცია შეცდომაში შეჰყავს.

ვეკითხები წერილის ავტორს: მე ერთმა პიროვნებამ, ამ რამდენიმე ხანში, რომელიც დიდი ხანი არ არის გამგეობაში ვიმყოფები და ნახევარჯერ თფილისშიც არ მიხდება ყოფნა რით დავიმსახურე მის თვალში ასეთი ნდობა?

იმ ამხანაგების მუშაობას კი, რომლებიც თვითმპყრობელობის დროსაც, როცა არავითარი კავშირი არ არსებობდა და მაშინაც ამ კავშირს საძირკველი ჩაუყარეს და იქიდან მოკიდებული გამგეობაში მოშაობენ სულითა და გულით უმოქმედობას რათ უწოდებს? მე მოვითხოვ ავტორისაგან ამაზე მიპასუხოს და კარგი იქნება თუ თავის სახელსა და გვარს გვაცნობებს.

გამგეობის წევრი ვ. ბიბილაშვილი

# პროვინცია

**დუშეთი.** 11 მარტს შესდგა დუშეთის მაზრის აღმასრულებელ საბჭოს კრება.

კრებას დაესწრო მაზრის სხვადასხვა სოფლიდან 50 წარმომადგენელი. თავმჯდომარემ მოკლე სიტყვით მიმართა კრებას და აღნიშნა სამაზრო საბჭოს მუშაობა ამ ათი თვის განმავლობაში; შეეხო აგრეთვე როგორ პირობებში უხდებოდა საბჭოს მუშაობა და რა აფერხებდა მის მუშაობას; დასასრულ განუმარტა ხასიათი და მიზანი მოწვეულ კრებისა. კრებამ მიიღო კომისარიატის მიერ წამოყენებული დღის შემდეგი წესრიგი: პოლიტიკური მომენტი, მიწის საკითხი და სადგილ-მამულო კომიტეტი, წითელი რაზმი, ძლიერი მთავრობა, მობილიზაცია და მოხალისეები, რევოლიუციონური ტრიბუნალი, ესკადრონის ქონება.

პოლიტიკურ მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. ს. ირემაშვილმა. მომხსენებელმა ვრცელ სიტყვაში ნათლად გადუშალა კრებას დღევანდელი მდგომარეობა რუსეთის; შეეხო ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას; შეეხო ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიების დამღუპველ ტაქტიკას; ნათლად დაუხატა, რომ რევოლიუცია და სამშობლო განსაცდელშია და დასასრულ მოუწოდა კრებას, რომ დაეცვათ რევოლიუციით მონაპოვარი მიწა და თავისუფლება. კრებამ ერთხმათ მიიღო მომხსენებელის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: „დუშეთის მაზრის აღმასრულებელი საბჭო ადგენს, რომ ის მთელი თავისი ძალ-ღონით ეცდება და ყოველგვარ ზომებს მიიღებს, რათა ერთობა და რევოლიუცია დაიცვას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, როგორც გარეშე შემოსეულ მტრებისაგან, ისე შინაურ მტრებისაგან; საბჭო ჰგმობს ბოლშევიკების მავნე მოქმედებას, რომელმაც რუსეთის ერთობა და რევოლიუცია დაღუპეს, დიდი რუსეთი დაშალეს, დაარღვიეს და ყველანაირათ გერმანიას დაუმორჩილეს; საბჭო წყევლა-კრულვას უგზავნის ბოლშევიკებს, რომლებმაც ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქები ოსმალეთს დაუთმეს; საბჭო ფიცსა სდებს, რომ იარაღით ხელში დაიცავს ამიერ კავკასიის საზღვრებს გარეშე მტრის შემოსევისაგან და უსისხლოთ არავის დაუთმობს, როგორც მიწების მიმცემ ერთობას, ისე ამიერ კავკასიის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას; ამისათვის საბჭო იარაღით ხელში დაიცავს და მხარს დაუჭერს სეიმს და იმ კანონიერ მთავრობას, რომელიც არჩეულ იქნება სეიმისაგან“.

შემდეგ მოხსენება გააკეთა მიწის საკითხის და სადგილ-მამულო კომიტეტის შესახებ ამხ. მ. კლიმიაშვილმა. მომხსენებელმა განუმარტა კრებას, თუ როგორ უყურებდა რევოლიუციონური მთავრობა მიწის საკითხის გადაჭრას მშრომელი გლეხკაცობის სასარგებლოთ, აუხსნა, თუ რა იყო მიწის საკითხის დღემდე გადუჭრელობის მიზეზი, შეეხო 16 დეკემბრის 1917 წ. ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემულ დეკრეტს და 7 მარტს სეიმის მიერ დამტკიცებულ მიწის შესახებ დებულებას; აუხსნა როგორ და რა პირობაში გადავა მიწა მშრომელი გლეხკაცობის ხელში; აუხსნა როგორ უნდა მოეწყოს სადგილ-მამულო კომიტეტები და რა ეკისრებათ უკანასკნელთ. კამათის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „საბჭო იწონებს ამიერ-კავკასიის სეიმისაგან მიღებულ მიწის კანონს და ადგენს, რომ მიწის განაწილების საქმეს ანდობს მიწის კომიტეტებს, რომლებიც კანონიერად დაანაწილებენ მიწას, როგორც სოფლებს შორის, ისე სოფელში მცხოვრებთა შორის“.

მოხსენება გააკეთა წითელი რაზმის შესახებ ამხ ან. გოჩიტაშვილმა. მომხსენებელმა აუხსნა მიზეზი, თუ რამ გამოიწვია წითელი რაზმის დაარსება, განუმარტა რაზმის მნიშვნელობა და შემადგენლობა; შემდეგ გააცნო წესდება წითელი რაზმისა და მოუწოდა ჩაწერილიყვნენ რევოლიუციის დასაცავათ. მცირე კამათის შემდეგ კრებამ მიიღო მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: „კრებამ მოისმინა მოხსენება წითელი რაზმის დაარსების შესახებ და დაადგინა: სოფლათ მოეწყოს წითელი რაზმები, რომლებიც დაექვემდებარება ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს და სამაზრო კომისარიატს; რაზმს ხელმძღვანელობს მაზრის მილიციის უფროსი; რაზმი ემორჩილება საერთო შემუშავებულ ინსტრუქციას და დისციპლინას, იარაღი მიეცემა იმათ, ვინც ამ რაზმში შევა და ხალხი მას ნდობას გამოუცხადებს; უნდა აეყაროს იარაღი მას, ვინც არ დაემორჩილება სამაზრო კომისარიატს და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებას; წითელი რაზმი აგზავნის თავის წარმომადგენელს მოწვეულ წითელ რაზმის თათბირზე“.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ძლიერი მთავრობის შესახებ ამხ. ს. ირემაშვილი. მომხსენებელმა განუმარტა კრებას მარტო სიტყვით და ხვეწნით საქმე არ გაკეთდება; დემოკრატიული მთავრობა, ხალხის მიერ ნდობით აღჭურვილი, იმავე დროს ძლიერი უნდა იყოს და მისი ნაბიჯები ხალხის მართველობაში გაბედული; შემდეგ აუხსნა კრებას, თუ როგორ უნდა მოეწყოს ძლიერი მთავრობა. კრებამ მოიწონა მომხსენებლის აზრი და, გამოსთქვა რა აზრი დემოკრატიის ინტერესების დასაცველათ ძლიერი მთავრობის აუცილებლობის შესახებ, გადავიდა შემდეგ საკითხზე.

მობილიზაციის და მოხალისეების შესახებ მოხსენება გააკეთა ნ. ჩიმაკაძემ. მომხსენებელმა გააცნო კრებას, რომ ჩვენი ქვეყანა და თავისუფლება განსაცდელშია, რომ ჩვენს თავისუფლებას ემუქრება არამც თუ შინაური მტერი—ანარქია, არამედ გარედან მომავალი მტერიც, რომ ცხოვრებამ დაგვიყენა არამც თუ თავისუფლების დაცვა, არამედ—თვით ხალხის ფიზიკური არსებობის საკითხია დაყენებული და მოუწოდა კრებას, რომ აღმოეჩინა მას მორალური დახმარება მობილიზაციის ჩასატარებლათ, აგრეთვე გაეწიათ აგიტაცია თავის სოფლებში თავისუფალ მოხალისეების შესახებ. კრებამ დიდი კამათის შემდეგ ერთხმათ მიიღო მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: „გავეცანით რა ამიერ-კავკასიის დღევანდელ მდგომარეობას, საჯაროთ ვაცხადებთ: ა) არა ვსცნობთ ბოლშევიკების მიერ შეკრულ ზავს სავალდებულოთ ამიერ-კავკასიისათვის; ბ) თავს დავიცავთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ოსმალეთის იმპერიალისტების თავდასხმისაგან; გ) ვიწონებთ რა მთავრობის მიერ გამოცხადებულ მობილიზაციას, რომელსაც სრულის ჩვენის შეგნებით მხარს დაუჭერთ, ფიცსა ვსდებთ, რომ საჭიროების დროს ჩვენ ყველანი ერთად გამოვალთ ჩვენი მხარის და თავისუფლების დასაცავად და დ) ამ მიზნით გავმართავთ ფართე აგიტაციას სოფლათ, რომ ვისაც იარაღის ხმარება შეუძლია ჯარში ჩაეწეროს, დანარჩენები კი დაეხმაროს ჩვენს დემოკრატიულ მთავრობას ფულით, სურსათით და პირადის შრომით“.

რევოლიუციური ტრიბუნალის შესახებ ამხ. ს. ირემაშვილმა აღნიშნა, რომ წესიერების აღსადგენათ არ კმარა მარტო ბოროტების აღმოჩენა, საჭიროა ბოროტ მოქმედი დაისაჯოს და ვინაიდან დღეს ძველი სასამართლოები აღარ არსებობენ, საჭიროა შეიქნას მაზრაში რევოლიუციონური ტრიბუნალები: სამაზრო და საუბნო. კრებამ მოიწონა მომხსენებლის სიტყვა და დაადგინა: სამაზრო რევოლიუციონური ტრიბუნალი შესდგეს ხუთი კაცისაგან; ტრიბუნალის წევრებს ირჩევს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ქართული ესკადრონის მიერ გატაცებულ ქონების შესახებ ნ. ჩიმაკაძე. მომხსენებელმა გააცნო კრებას, როგორ და რა პირობებში მოხდა ქონების დატაცება, როგორ იქნა წეს-რიგის აღდგენა და რა გააკეთა ქონების გამოკვლევამ და იურიდიულმა კომისიებმა. კრებამ მოისმინა მოხსენება და აღუთქვა, რომ ყოველ ღონეს იხმარს ისინი ადგილობრივ, რათა აღმოაჩინონ გატაცებული ცხენები და საქონელი და დააბრუნებინონ მტაცებლებს.

დასასრულ კრებამ ამოირჩია სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში: 1) ს. ოდიშელიძე, 2) ტ. შუშიაშვილი, 3) ვ. ტატიაშვილი, 4) გ. ნაგლიაშვილი, 5) პეტრე ავლოხაშვილი, 6) პეტრე მანჯგალაძე, 7) სანდრო ფარესიშვილი, 8) სერგო ჟანგირაშვილი, 9) გაბო ინაშვილი და 10) ნ. ჩიმაკაძე.

სამაზრო სადგილ-მამულო კომიტეტში არჩეულ იქნენ: 1) მიხა ქურციკიძე, 2) ნ. ჩიმაკაძე, 3) ასლამაზოვი, 4) გათენაშვილი და 5) ავლახოვი.

კრებამ თავმჯდომარეს მიანდო გაგზავნა სეიმისათვის მისასალმებელი დეპეშისა.

ნ. ჩიმაკაძე.

**ქ. ახალ-სენაკი.** ანარქიამ აქაც ფეხი მოიკიდა; დღით და ღამით სროლაა, ასე რომ, აქ მტრის პოზიცია ეგონება ახლად მოსულ კაცს. ქალაქის კომისარი გრ. თევზაია მოხალისეთა რაზმში ჩაეწერა და ბათომში გაემგზავრა. მის ადგილას აირჩიეს ჩოჩავა; მან სასტიკი ზომები მიიღო ანარქიის მოსასპობად და ამ ბოლო ჟამს ვინც კი თოფს ისროდა მისი განკარგულებით მილიციონერები იარაღს ართმევენ. 11 მარტს პარუჩიკი დომ. დჯობავა დამთვრალიყო და ისროდა. მილიციონერებმა ორჯელ გააფრთხილეს, მაგრამ რაკი მან სროლა არ შესწყვიტა მოინდომეს იარაღის აყრა. პორუჩიკმა თოფი ესროლა მათ და ერთი მათგანი კიდეც დასჭრა. დანარჩენებმა ესროლეს და ჯობავა მოჰკლეს. ჯარისკაცებმა მაშინვე ადგილობრივი გიმნაზიის ეზოში გამართეს კრება, თუ როგორ მოქცეულიყვენ: ზოგიერთ მათგანს მიზნათ ქონდა მილიციონერები ამოეწყვიტათ, მაგრამ ბიკტორ თევზაიას სიტყვამ ისინი შეაჩერა. კრების გადაწყვეტით იქმნა არჩეული კომისია, რომელშიაც შედის ხუთი კაცი, და რომელსაც ევალება ამ ამბის გამოძიება. კრებამ აგრეთვე დაადგინა სასტიკათ დასაჯონ ყველა ის პირნი, ვინც უმიზეზოდ ისვრის თოფს. დიდი ჯარიმა დაადო იმ მიკიტნებს, ვინც ღვინოს გაჰყიდის.

ს. მინდაძე.

კანტორა „განათლებაში“ იყიდება თაგვების და ვირთხების

## საწამლავი

ოლღას ქ. № 6.

ექიმი

## ნ. ი. მახვილაძე

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. და საღ. 4—6 საათზე. ადრესი: მოსკოვის ქუჩა № 11.

ექიმი ქალი

## რ. ბ. შიშლო-საბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

ექიმი

## დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

## ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, საზ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

## ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის

## გ. გ. მეგრაბიანცისა

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ქლექით დაავადმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

## პეპელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნორდ“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი

## ვ. ვ. კლდიაშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დილის 1—2 საათამდე.

ექიმი

## ზ. დონხინი

ყოფილ იასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი

## დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

## ექიმი პ. ი. ბზარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

## ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

იღებს ყოველ-დღე შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოთი დასნეულებულ ავადმყოფთ—დილის 9—3 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ბინა № 5.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის

ყოველ დღიურ გაზეთ

## „ერთობა“-ზე

ხელის მოწერის პირობები:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 თვით | — 4 მან. 50 კ. | 6 თვით | — 27 მანეთი |
| 2 თვით | — 9 მანეთი. | 1 წლით | — 50 მანეთი |
| 3 თვით | — 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ. | |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდი (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,

შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ მოითხოვა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.

ამხ. და თანამშრომელთ მიეთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.